ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 16 (1417)

20/V-25/V 1995 წ.

ახლაა სტალინი სომეხი?

ჯაბა იოსელიანი კანონის დამცველთა რიგებში

საქართველოს პარლამენტის 16 მაისის სხდომა ძირითადად კანონშემოქმედებითი პათოსით წარიმართა, თუმცა დილის სხდომაზე მაინც წამოიჭრა რამოდენიმე მწვავე საკითხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მინი-დებატები სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთა უფლება-მოვალეობებზე. ირაკლი წერეთელმა განაცხადა, რომ რწმუნებულთა აპარატის სახით ისედაც გაჭირვებულ ხალხს თავზე დააჯდა „პუქთამჭამელთა ახალი ხროვა“. 70-ზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი განცხადებას, სადაც მოითხოვენ გაირკვეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი: უჭერს პარლამენტი მხარს სამხარეო დაყოფას, თუ არა... ჯერჯერობით კი შევარდნაძე ერთპიროვნულად, უკანონოდ ნიშნავს „გუბერნატორებს“, რომლებიც უკვე მოქმედებენ... ამის შემდეგ სიტყვა აიღო ჯაბა იოსელიანმა და წაიკითხა დებულება სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთა შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამ დებულებით „შევარდნაძის გუბერნატორებს“ პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ მინიჭებული. მათ განმგებლობაში შედის საწარმოების დახურვა-გაუქმება, აბსოლუტურად ყველა რეგიონალური უწყების კონტროლი, არმიის ნაწილებისთვის დისლოკაციის ადგილის შერჩევა (!), აგრეთვე სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა. იოსელიანმა მიუთითა დებულების აშკარა შეუსაბამობაზე არსებულ კანონმდებლობასთან და ირონიულად შენიშნა: „აბა რაღად უნდათ მაშველთა კორპუსი, თვითონ ყოფილან მაშველებიო. მერე იტყვიან, თავი გაუტეხესო! გაუტეხავენ, აბა რა იქნება, რომ არ ჩაქოლეს არ გიკვირთო“. საპარლამენტო უმრავლესობიდან ერთადერთი, ვინც ჯაბა იოსელიანს შეკამათება გაუბედა, სხდომის წამყვანი ვახტანგ რჩეულიშვილი იყო, რომელმაც „ახალგაზრდობა გაიხსენა“ და „ძველბიჭური“ შემართებით, ოღონდ კორექტულად შეეპასუხა ბ-ნ ჯაბას: თქვენ არ იყავით, პირველმა რომ დანიშნეთ კახეთში რწმუნებულიო, რაზედაც პასუხად ჩვენი საზოგადოებისთვის ნიშანდობლივი, „მაგიური ფორმულა“ მიიღო, რომლითაც, ჩვეულებრივ, ყველაფრის გამართლება ხერხდება: „მაშინ სხვა დრო იყო...“

რაც შეეხება ოპოზიციას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, საკმაო პრინციპულობას ვერ იჩენს. ყოველ შემთხვევაში, არც რესპუბლიკელები, არც ეროვნულ-დემოკრატები ადრე „მხედრიონისადმი“ სიმპატიებში, როგორც იტყვიან, არასოდეს ყოფილან შემჩნეული. გიორგი ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ კი ერთობლივი განცხადებით მაშველთა კორპუსის გაუქმებაც კი მოითხოვეს: ოღონდ „მაშინ სხვა დრო იყო“ და სახელმწიფოს მეთაურმა მათ მოთხოვნას ყურიც არ ათხოვა. ახლა კი, როცა შევარდნაძემ აშკარად დაიწყო „მხედრიონის“ შევიწროება, პოლიტიკურ პარტიათა „ანტიმხედრიონული“ სულისკვეთება შესამჩნევად ჩაცხრა. რასაკვირველია, მათ „ჯაბა იოსელიანისთვის მხარი არ დაუჭერიათ და არც წესრიგის დამყარების წინააღმდეგნი არიან, როგორც ამას „შევარდნაძისტული“ პრიპაგანდა ამტკიცებს, მაგრამ განსმდგომის პოზიციაც, რომელიც აკაკი ასათიანის სიტყვებით: („მეგობრების ჩხუბში არ ვერევი“) — შეიძლება გამოიხატოს, სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით ძლიერ წამგებიანია, რადგან წესრიგის დამყარება, მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო „მხედრიონის“ პრობლემასთან ასოცირდება. სახელმწიფოს მეთაური და მისი ამალა ხელიდან არ უშვებს მომენტს, რათა ხალხი დაარწმუნონ, რომ შევარდნაძე მარტოდმარტო ებრძვის კრიმინალურ სამყაროს, ოპოზიცია კი ამ „წმინდა საქმეში“ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებს. ლაპარაკი შევარდნაძის „ინტრიგებსა“ თუ „წინასაარჩევნო ტრიუკებზე“ — სრული უაზრობაა. ხალხისთვის აბსოლუტურად სულერთია ვისი ხელით დამყარდება ელემენტარული წესრიგი ქვეყანაში და რა მიზნით, მთავარია შედეგი! სახელმწიფოს მეთაური თანდათანობით იმტკიცებს „წესრიგის დამამყარებლის“ იმიჯს, რაც არჩევნებში გამარჯვების გარანტიაა. ამის თაობაზე, პრესაში უკვე ითქვა, მაგალითად გაზეთ „მიმომხილველში“ ზურაბ გიორგობიანის წერილი „ძალაუფლების ტექნოლოგიაზე“, მაგრამ რად გინდა: წერე და იკითხე!...

ჯაბა იოსელიანს და მაშველთა კორპუსს მარტოოდენ ირაკლი წერეთელი უჭერს აქტიურად მხარს. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს საერთოდ არ ჩვევია მერყეობა და ახლაც უყოყმანოდ დადგა „ჩაგრულის“ გვერდით. თუმცა მისი პოზიცია წინასაარჩევნო ბატალიებში ძლიერი მოკავშირის ძიებისაა შესაძლო გაპირობებული და ერთი ანეგდოტისა არ იყოს — „მე და ჯაბას ვინ მოგვერევას“ სქემაში ჩავდეს...

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა თვით ჯაბა იოსელიანის ბოლოდროინდელ გამოსვლებზე. რასაც იგი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უფლებამოსილებათა გადამეტებაზე, ანდა რწმუნებულთა ინსტიტუტის უკანონობაზე ლაპარაკობს, სრული სიმართლეა, მაგრამ ისეთი სიმართლე, რომელსაც უკვე ფასი არა აქვს. რა თქმა უნდა, რწმუნებულთა შესახებ დებულება — ნამდვილად აბსურდიზმებითაა სავსე, მაგრამ ისიც ხომ ყველამ იცის, ჯაბა იოსელიანი ადრე საკმაოდ შემწყნარებლურად რომ ეკიდებოდა ათასგვარ კანონდარღვევებს. არა მხოლოდ მხედრიონელთა, არამედ სახელმწიფოს მეთაურის მხრიდანაც (მასვე ეკუთვნის ნიშანდობლივი ფრაზა: „ვინ არ არღვევს?“) და კანონის დამცველთა რიგებში მხოლოდ მაშინ ჩადგა, როცა გაუჭირდა? უნებლიედ გვახსენდება კიდევ ერთი, ამჯერად „ეთნოანეგდოტი“: სკკპ XX ყრილობის შემდეგ, „სტალინის კულტის“ წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის დროს ერთმანეთს ხვდებიან ქართველი და სომეხი. „ნახეთ თქვენს სტალინს რა უქნესო?“ — ნაშნისმოგებით უთხრა სომეხმა. „ერთი მაგისი... სტალინი ხომ სომეხი იყოო“ — მიუგო ქართველმა. ამაზე სომეხმა გულწრფელად იწყინა: „ეა, ახლაა სტალინი სომეხიო!“ (იგულისხმება, რომ იგი მანამდეც სომეხად თვლიდა სტალინს, ოღონდ არ ამბობდა, ახლა კი ამის აღიარება აღარაფერს აძლევს!).

ეს ძველი ანეგდოტი იმად მოვიყვანეთ, რომ პირდაპირ გასაკვირია, რა ეფექტურად მოქმედებს შევარდნაძის უმარტივესი ხერხი საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად, დაფუძნებული „გათიშე და იბატონეს“ მამაპაპისეულ პრინციპზე. უცნაური ისაა, რომ ეს ყველამ მშვენივრად იცის და მაინც ყველა ეგება ამ ანკესზე — ერთი რომელიმე ძალის აღზევებისთვის ხელშეწყობა, მისი თანდათანობითი დისკრედიტაციით და შემდგომ „გალაღებული თავხედის“ დასჯა. სამწუხაროდ ყოფილ ფავორიტებს გვიანღა „ახსენდებათ“, რომ „სტალინი სომეხია“, ჯაბა იოსელიანის წარმოჩენა კანონის დამცველის როლში — ამის ნთელი დასტურია, როგორც 16 მაისის სხდომაზე ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ შენიშნა: ნეტავ ვინ უნდა გააბრაზოს კიდევ შევარდნაძემ საპარლამენტო უმრავლესობიდან, რომ მანაც ისე ილაპარაკოს, როგორც დღეს ჯაბა იოსელიანი ლაპარაკობსო...

ენახოთ... არჩევნები კარსაა მომდგარი და „სტალინის სომხობა“ კიდევ ბევრს შეიძლება გაახსენდეს...

დ.ზ.

ნომერში

«ძირს დამნაშავეობა».
»გარეწარი პარლამენტი».
«გველის წიწილი ზვიადისტები».
«მუხრან მაჭავარიანი თბილისში არ უნდა დადიოდეს, არც ჯაველიძე».
«შავები მხედრიონმა ჩამაცვა» და სხვა საინტერესო ამბების შესახებ

იხ. მე-2 მე-6 გვ.

ქართული ჟურნალისტიკის მახინჯი მხარე
– ნოდარ გრიგალაშვილი

მე-4 მე-5 გვ.

მშვიდობით იარაღო!


ჩასანიშნავი ადგილი
ეჰ.. ბატონო! მოგიყვანეთ ყოფილი ფავორიტი, ბატონს ყავდა ასთამაშური ეზოში
ფავორიტი
ფავორიტი
ფავორიტი

"ძირს დამნაშავეობა". „გარეწარი პარლამენტი". „გველის წიწილი ზვიადისტები". „მუხრან მაჭავარიანი თბილისში არ უნდა დადიოდეს, არც ჯაველიძე", „შავები მხედრიონმა ჩამაცვა" და სხვა საინტერესო ამბების შესახებ

(რეპორტაჟი შინაგან საქმეთა სამინისტროდან)

15 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჟურნალისტებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოაწყო. კახეთის ცნობილი ოპერაციისა და „მაშველთა კორპუსის" მიერ გამართული პრესკონფერენციის შემდეგ ამ შეხვედრის მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო. ყველა ინტერესით ელოდა იმის გაგებას, თუ რა ხდება. ინტერესი უფრო გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ პრეზიდიუმში ისხდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური პროკურორი, მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე, ქალაქის პროკურორი და ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები.

შეხვედრა მართლაც ერთობ საინტერესოდ წარიმართა. იყო წესრიგის დაცვისათვის დაუცხრომელი მოწოდებები, იყო პოლიტიკა, იყო მხედრიონის წინააღმდეგ ჭირისუფალთა გალაშქრებები, თანამდებობის პირებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და პარტიებსაც მისდგნენ. ერთი სიტყვით მსმენელს მოდუნება არ უგრძვნია.

ზოთა კვირაია

შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: დამნაშავეობასთან ბრძოლა და რესპუბლიკაში წესრიგის დამყარება ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. კახეთში არსებულ დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლამ და აქ ჩატარებულმა მუშაობამ არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. თითქოს ეს ღონისძიება მიმართული იყო მაშველთა კორპუსის წინააღმდეგ. ჩვენ გამიზნულად არავის წინააღმდეგ არ ვმოქმედებთ. მაგრამ ბრძოლა ყველა დამნაშავის წინააღმდეგ ჩვენი პროფესიული ვალია. ჩვენს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მოსახლეობაში. მაგრამ სკეპტიკური ხმებიც არის,ვინც რამდენიმე თვის წინ გვიკიჟინებდა ფართომასშტაბიანი რაუნდები ჩაგვეტარებინა, დღეს ბრალს გვდებს.

შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 800 პოლიციელი დავითხოვეთ, დღეს 360 მაღალი რანგის თანამშრომელი იხდის სასჯელს. მათთვის შექმნილია სპეციალური კოლონია.

ბატონმა შოთა კვირაიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა. მან აღნიშნა: ჩვენ ყველას გვახსოვს სროლები. დარბეული და გაძარცული სოფლები. ჩვენ იძულებული ვიყავით მასირებული დარტყმები მოგვეხდინა ზესტაფონში, ოზურგეთში, დმანისში, ბოლნისში, ჩოხატაურში. ვიცოდით, რომ აკადემიური კლასიკური მეთოდები დადებით შედეგს ვერ მოიტანდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 125 თანამშრომელი დაიღუპა.

ჩვენი ვალია, რომ ჩვენი შვილები უშიშრად დადიოდნენ სკოლაში, ინსტიტუტში. ავაშენოთ ერთიანი, დემოკრატიული საქართველო. დადგა დრო, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს: ჟურნალისტმა ჭეშმარიტებისათვის იბრძოლოს. მასწავლებელმა მოწაფე აღზარდოს, დედამ შვილი და ა.შ.

მეუფე დანიელი

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა, ამ შეკრების მონაწილეებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია II-ის მისალმება და თხოვნა გადასცა.

პატრიარქის აზრით, საქართველოში წესრიგის დამყარებისა და მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტელიგენციის თანადგომას.

მამუკა კობახიძე — საგამომძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კონკრეტულად ისაუბრა კახეთში ჩატარებული რაუნდისა და დამნაშავეთა ჯგუფის „საქმიანობის" შესახებ:

ყველაზე დიდი გამოხმაურება საზოგადოებაში ჰპოვა თელავის რაუნდმა, რომელიც მიმდინარეობდა ოპერატიულად. 30 აპრილს დააპატიმრეს 100-მდე პიროვნება და პოლიციის ორი წარმომადგენელი. 1-2 მაისს კახეთის რეგიონალური სამმართველოს მიერ აღძრული იყო სამი სისხლის სამართლის საქმე და გაიცა 5 სანქცია. სანქციები გასცა გურჯაანის პროკურორმა. მასალები უკვე მოკვლეული იყო.

მინისტრის მოადგილის საბანაძის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად დააკავეს 7 ძებნილი და ასევე 23 მაშველთა კორპუსის წევრი. ამ კორპუსის უფროსიც იქ იყო, აქედანაც ჩანს,რომ ეს არავის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული, ყველა დაკავებულია კონკრეტულ დანაშაულზე.

მედეა მეზვრიშვილი

ქალბატონ მედეას გამოსვლის წინ კახეთის „სამართალდამცავები" გამოვიდნენ,რომლებმაც მოკლედ და რიგ შემთხვევებში უნიჭოდ ისაუბრეს კახეთში არსებულ სიტუაციაზე, გატარებულ ღონისძიებებსა და მხედრიონის წევრების დანაშაულებრივ ქმედებებზე.

მედეა მეზვრიშვილმა უსაყვედურა მათ არაშემტევი პასიური გამოსვლისათვის. თავად კი შეტევაზე გადავიდა. მტერს მტრულად დავხვდეთ, მოყვარეს მოყვრულადო და რეალურად წარმოგვიდგინა დღევანდელი ყოფის შემზარავი სურათი: სახელმწიფო მეთაურის აპარატის მე-4, მე-5 სართულზე მკვლელები დადიან, ეს არის მასხრად აგდება ქართველი კაცის ღირსების. მე, მოქალაქე, ვერ ავიტან იმას, რომ მკვლელს ხელს აფარებენ. ზოგიერთ არაკაცს სათავეში ჩაუცგნენ ეშმაკი, ბოროტი ჭკუის დამრიგებლები.

პურის მაფიამ შეჭამა კახეთი. პურის მაფიის და ელექტროენერგიის ხალხი გადაებნენ ერთმანეთს და კახელ კაცს ყოფა უტირეს. პურის მაფიამ მოგვსპო და გაგვანადგურა.

შემდეგ ქალბატონი მედეა ბენზინის მაფიას შეეხო. ვინ ყიდის საწვავს და ვინ აცილებს სომხეთში? ქართველი კაცი ისევ დაუპირისპირეს აზერბაიჯანელს. ვინ? უხეირო და ბოროტმა ხელმძღვანელებმა. შეიქმნა რაღაც საზოგადოებები, სადაც 2 კგ ფქვილს აძლევენ ხალხს და სათავისოდ იყენებენ. სამარეში უნდა ჩავიდეს ის კახელი, ვინც 2 კგ. ფქვილზე და 100 მანეთზე გაყიდის ქვეყანას.

მან განაცხადა: სამინისტროებში შეღწეულია მაფიოზები. კახელებმა რამდენი ხანი ვიარეთ იმისათვის,რომ დაგვემტკიცებინა, მადლობა ბერძენიშვილი ნარკობიზნესში იყო ჩართული.ხალხი დააშინეს, დააყაჩაღეს ღვინის ქარხნები. გაზეთში ერთი წერილი ამოვიკითხე, „თუ მხედრიონის მიმართ იერიშს მიიტანენ, ადგილზე იქნებიან განადგურებულები". კითხვაზე, რომელ გაზეთში ამოიკითხა, უპასუხა, თქვენც წაიკითხეთ და ნახავთო. ბოლოს დასძინა, აუცილებელია ხალხმა ხმა აიმაღლოს დაუნდობელი ნაძირალების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი მადლობა მოახსენა კახეთის რეგიონში ჩატარებული მუშაობისათვის.

კახელთა დელეგაციის უმრავლესობას შავოსანი ქალბატონები შეადგენდნენ, რომელთა შვილებს და ქმრებს სიცოცხლე წაართვეს, მათივე თქმით, მხედრიონელებმა. მათ დაგმეს მაშველთა კორპუსის არსებობა საქართველოში. სააშკარაოზე გამოიტანეს მათი უკანონო ქმედებანი. დაასახელეს ვინმე „მაჭახელა" და მისი „საგმირო საქმენი".

ერთ-ერთმა შავოსანმა ქალბატონმა, როცა მაშველთა კორპუსის ცნობილი წარმომადგენელი ქ-ნი დოდო გუგეშაშვილი სიტყვით გამოდიოდა, მას მიკროფონი წაართვა. ქალბატონმა დოდომ იმის თქმა მოასწრო, რომ მას თურმე ხელთ აქვს ჭსეროასლები, სადაც პოლიციის თანამშრომლები კახეთის ოპერაციის დროს ცუდად ექცეოდნენ კახელებს (სცემდნენ, აგინებდნენ). ქალბატონმა გუგეშაშვილმა გულისტკივილი გამოთქვა პოლიციის ამ უკანონო ქმედების გამო, რაზეც მოკლულის დედამ უპასუხა, რომელი უფრო სამინელი სანახავია, ნაცემი ბიჭები თუ მოკლულებიო?

ჟუთი დოლიძე

საქართველოში სიკვდილი სიტყვით იწყება, —

ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა ქ-ნმა დოლიძემ. ის აღშფოთებულია იმის გამო, რომ ელიზბარ ჯაველიძემ გაზეთ „სამრეკლოს" ფურცლებიდან მის ქალურ თავმოყვარეობას შეურაცხყოფა მიაყენა. მან თხოვა სამართალდამცავ ორგანოებს აღძრან ჯაველიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, გამოარკვიონ რა სახსრებით ფინანსდება ეს გაზეთი, რომელსაც შესაშურ, მშვენიერ ქაღალდზე ბეჭდავენ...

დემურ მიქაძე:

ჩვენი ინტელიგენცია ის ხალხია, რომლებმაც ქალაქს ქალაქის სახე შეუნარჩუნა. ჩვენ, სამართალდამცავებმა თუ მოვინდომეთ, ყველაფერს გავაკეთებთ. ყველამ ვიცით, ვინ აშავებს, ყინული დაიძრა. ეს ტენდენცია ყველასათვის ნათელია. უკანასკნელ თვეში ერთი შემთხვევაა იარაღით მკვლელობის. საბურთალოს საძმოს წევრები ავიყვანეთ, ისინი სიცილით იხოცებოდნენ, რომ მათ იქ არავინ გააჩერებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღეს საბურთალოს რაიონი თითით საჩვენებელია. თუ კანონის დიქტატურა აღდგება, კანონი იზეიმებს. იარაღი აქვთ პარტიებსაც და დროზე მოვლენ გონსო. ჩემზე ამბობენ შევარდნაძის კაცია. დიახ შევარდნაძის კაცი ვარ და ვიქნები, — დასასრული სიტყვა ქალაქის პოლიციის შეფმა.

ჯამლეთ გაგილაშვილი:

ანგარიში გავუწიოთ დღევანდელ რეალობას, რადგან ყველაფერი თავიდან იწყება და ყალიბ-

გაგრძელება №ე - 6 გვ.

წითელი ჭირი

ავთანდილ პოპიაშვილი

საბჭოთა იმპერიაში კომუნისტური მოძღვრების სახელი დაკავშირებული იყო გერმანული ფილოსოფიის ეპიგონების (ვ. ვინდელბანდის სიტყვებია) კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სახელებთან. სხვა გერმანელი ავტორის კ. ფიშერის მიხედვით, მარქსი და ენგელსი იყვნენ გერმანული ფილოსოფიის გზადაკარგული შვილის ლ. ფოიერბახის მიმდევრები და ფილოსოფიური აზრის კიდევ უფრო დამაკნინებლები.

მკითხველს ეხსომება ერთი გავრცელებული ფუნაგორია: — „როდესაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად...“ მართლაც რომ ასე იყო. მეფის რუსეთის იმპერია ამ საუკუნის დასაწყისში მოდერნიზაციის მძიმე ეტაპს გადიოდა და მას ესაჭიროებოდა სწორედ ამგვარი კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური იდეოლოგია იმპერიის დამონებული ხალხების მოსატყუებლად და მათი ხელახალი კოლონიზაციისათვის. ჩვენი ქართველი მარქსისტებიც აჰყვნენ რუსი მარქსისტი იმპერიალისტების ფეხიხსმას, ყური არ ათხოვეს დიდი ილიას ხვეწნას და გაფრთხილებას — დაანებეთ თავი რუსულ რევოლუციას და ჩვენს უბედურ ქვეყანას მივხედოთო — 1907-ში მათ მოკლეს თავად ილიაც და ქართველი კომუნისტები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ცოფიან ანტიქართველებად, საკუთარი სამშობლოს დაუძინებელ მტრებად (ჩვენდა საუბედუროდ, რატომღაც მაინცდამაინც ქართველ კომუნისტებს დაჰყვათ ასეთი გამოკვეთილი ერისმოძულეობის თვისება...).

ილიას მკვლელობის შემდეგ ქართველი მარქსისტ-ინტერნაციონალისტების აქტივშია 1921 წელს რუსეთის ჯარით საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გამოლაშქრება სერგო ორჯონიკიძის წინამძღოლობით და კრემლიდან სტალინის დასტურითა და ხელშეწყობით, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა, 1937 წელს ქართველი მწერლებისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების დახვრეტა და ა.შ.

ბოლშევიკებმა ხალხს ჩამოართვეს ყველაფერი, რაც ებადა და საბოლოოდ ადამიანები სახელმწიფო მოხელეთა ხელში შემყურე მათხოვრებად აქცეს. მათ ქვეყანა ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკს, დიდ ციხეს დაამგვანეს, სადაც უზრუნველად მხოლოდ ამ ციხის უფროსობა ცხოვრობდა.

ძნელი სათქმელია ბოროტების იმპერიის ამ მესაძირკვლეებს, ამ კოშმარული ექსპერიმენტის მომწყობებს მართლა სწამდათ თუ არა კაცობრიობის კომუნისტური გაბედნიერებისა. თუ მათ პოლიტიკურ ავანტურიზმს, უსაზღვრო ამბიციებსა და პატივმოყვარეობას გავითვალისწინებთ, თავიანთ სიცოცხლეშივე რომ გადაფარეს დედამიწა საკუთარი ძეგლებით, ალბათ მათ საკუთარი პერსონის მეტი არაფერი სწამდათ. ყოველ შემთხვევაში, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც თვალს ვადევნებ ცხოვრებას, მე მორწმუნე მარქსისტი არ მინახავს არც ამ თეორიის მასწავლებელთა შორის და არც, მით უფრო, მის პრაქტიკულად გამტარებელ ხელისუფალთა შორის. უბრალოდ სისტემა იყო ისეთი, რომ ყველას თავი ისე უნდა სჭეროდა, თითქოსდა სწამს ამ მოძღვრებისა და იღწვის მისი ხორცშესხმისათვის.

ვეცდები თქმული რამოდენიმე მეტყველი მაგალითით ვნათელყო.

1. ვის სწამდა მარქსიზმი?

იყო ერთი პარტისტორიის ლექტორი, კაცი უაღრესად პატიოსანი, ყოველმხრივ წმინდა და ალალ-მართალი. კარგი ხმა-დიქცია, კარგი გარეგნობა და ახოვანება, აუდიტორიის ფლობის უზადო ხელოვნება, პედაგოგისა და მოძღვარის განსახიერება თითქმის. და იდგა მისი ლექციის დროს აუდიტორიასა და მიმდებარე კორიდორში მაღალი ბარიტონის საამო [illegible] ბედის ირონიით ეს მ[illegible] ზრდებს ქართლის ცხოვრებაზე და მის მოჭირნახულეებზე — ვახტანგ გორგასალზე, დავით ალმაშენებელზე, თამარზე, ქეთევან წამებულზე, ბერ თევდორეზე და ა.შ. კი არ მოუთხრობდა, არამედ ანტიეროვნულ იდეოლოგიასა და მის მიმდევარ ეშმაკის მსახურებზე...

და ერთხელ, როცა ამ ჩემთვის დიდად პატივსაცემ პიროვნებას მოკრძალებითა და მოიარებით შევკადრე კითხვა, თუ როგორ კითხულობს ამ საგანს, მან გაგულისებით მიპასუხა: „რატომ მეუბნები მაგას, რა, არა მწამს თუ?“

სწორედ რომ არა სწამდა! მაგრამ პატიოსნებისა და სიამაყის გამო ამას ვერ ამხელდა! დიახ, პატიოსნება და სიამაყე — პიროვნების ეს ორი პოზიტიური ამგები საწყისი ემსახურებოდა ამ ცრუ და უზნეო იდეოლოგიას!... ისიც სათქმელია, რომ ასპირანტურაში შესვლისას მას არჩევანი არ ჰქონდა, მხოლოდ პარტისტორიაში იყო ადგილი და შემდგომშიც სხვა სამსახური მისთვის არ გამოჩნდა...

მარქსიზმის მასწავლებელ პატიოსან ლექტორთა შორის, თქვენ წარმოიდგინეთ, იყვნენ... რომანტიკოსი-იდეალისტებიც, რათა ამით კოშმარულ სინამდვილეს გაპქცეოდნენ მათ მიერვე შექმნილ ოცნების ილუზორულ სამყაროში. მათი კრედო ეს იყო: — მარქსიზმი, როგორც თეორია, კარგია და სწორი, მაგრამ სოციალისტური პრაქტიკა— სინამდვილეა უკეთურით.

ამგვარი რომანტიკოსი მარქსისტის განსახიერება იყო უნივერსიტეტის ერთი პროფესორი (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), ისტორიული მატერიალიზმის ცნობილი მასწავლებელი. ეს კაცი თავგადაკლული სტალინისტი იყო და ლექციებზე დიდ დროს „დიდი ბელადის“ ქებასა და ხრუშჩოვის მიწაში ჩადებას ანდომებდა (ბრეჟნევის დროს ნებადართული იყო სტალინის შეფარული ქება-დიდება და ხრუშჩოვის გინება). მისი თქმით, სოციალიზმი, როგორც სისტემა, კარგია, მაგრამ სტალინის შემდეგ ცუდი ხელმძღვანე-

გაგრძელება მე - 6 გვ.

მარტინ ბორმანი ბერლინშივე ჩაიმარხა

მრავალ ლეგენდებს ყვებოდნენ ნაცისტური პარტიის მეორე კაცის მარტინ ბორმანის ბერლინიდან სასწაულებრივ გაქცევაზე ომის ბოლო დღეებში. როგორც ამას ჰიტლერის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი არტურ აკსმანი (ამჟამად 82 წლის) ყვება: 30 აპრილს, ჰიტლერისა და ევა ბრაუნის სიკვდილის შემდეგ, ერთი პატარა ჯგუფი, რომელთა რიცხვშიც სხვებთან ერთად იყვნენ თვითონ მარტინ ბორმანი და ჰიტლერის ექიმი შტუმპფეგერი, შეეცადა საიმპერიო ბუნკერიდან თავის დაღწევას. 1,5 კილომეტრის გავლის შემდეგ ჯგუფი წითელარმიელებს გადაეყარა. წითელარმიელებმა ისინი სახალხო მოლაშქრეებად ჩათვალეს და თავისუფლად გაატარეს. როგორც აკსმანი ყვება, ბორმანმა და ექიმმა ისარგებლეს წითელარმიელებთან მათი საუბრით და დაწინაურდნენ. როცა აკსმანი და მისი თანხმლებნი „ვოკზალის“ შესასვლელში მივიდნენ, იქ ბორმანისა და ჰიტლერის ექიმის გვამები დახვდათ... მას შემდეგ, რაც აკსმანი ალაპარაკდა, ბერლინის მშენებლებს საგანგებო დავალება მიეცათ და მართლაცდა (60-იანი წლები) სავარაუდო ადგილას მშენებლებმა ორი მამაკაცის ნარჩენები აღმოაჩინეს, რომელთაგან ერთი, სათანადო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით— ბორმანისა აღმოჩნდა.

ლ.ვ.

ანტისემიტიზმი და სვასტიკა

თუმცა პროკურატურამ „რუსეთის პარტიის“ ლიდერს და გამომცემლობა „Витязь“-ის დირექტორს ვიქტორ კორჩაგინს ყოველად უსაფუძვლოდ მოუხსნა ანტისემიტიზმის ბრალდება, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ იგი მაინც დაჯარიმა 16 მინიმალური ხელფასის ოდენობით და ამასთან სამი წლის განმავლობაში აუკრძალა მას ყოველგვარი საგამომცემლო, სარედაქტორო და ჟურნალისტური საქმიანობა...

აშშ-ს ერთ-ერთი კოლეჯიდან კი ჯერ გაირიცხა, ხოლო შემდეგ დაპატიჟებული იქნა კოლეჯის 19 წლის სტუდენტი მერი ლეიბსონი, რომელსაც ბრალად ედება სვასტიკის დახატვა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, საკუთარი და აგრეთვე სხვა სტუდენტის ოთახის კარებზე. ამ ქმედებისათვის ყოფილ სტუდენტს, საერთო ჯამში სამ წლამდე ციხე და 6 ათასი დოლარი ჯარიმა ელოდება.

ეკა ზღულაძე

მკითხველთა წერილებიდან

ჯალათის სახელობის ქუჩა?

მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითი, რომ საქართველოს მსგავსად ეულიტოთ საკუთარი ხალხი. უდანაშაულო ადამიანების ულეტამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1921 წლიდან — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. იულიტებოდნენ 1921-26 და მომდევნო წლებში განუწყვეტლივ. მასობრივი ხოცვის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია და მისთანანი.

მართალია მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება პატივს მიაგებს ი. სტალინს II მსოფლიო ომში გამარჯვებისათვის, მაგრამ საქართველოს მიმართ მის მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა იცოდეს ყოველმან. ეს სხვა თემაა, რაზედაც აქ არ შეეჩერდებით.

აბდურაჰმან ავტორხანოვი თავის წიგნში „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“ გვიამბობს, რომ „აჯანყებული საქართველოს დასაშოშმინებლად საბჭოთა მთავრობამ სტალინი გაგზავნა კავკასიაში. მას დიდებული გაცილება მოუწყვეს, თამადობდა სტალინი. დასკვნითი სიტყვა ქართულ ენაზე წარმოუთქვამს. საქართველოში სარეველამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნას — სუფრის ახალგაზრდა მსახური ბერია იყო და თამადას უპასუხა: სარეველასაც აღმოვუფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ, ლავრენტი ბერია მეორე დღესვე დაინიშნა ჩეკას უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წელს, როცა ბერია ზუსტად 23 წლის იყო“. შემდგომი პერიოდი გვიჩვენებს, თუ ბერიამ როგორ შეასრულა დანაპირები.

ზუგდიდის კომუნისტურ პარტიას გადაუწყვეტია, ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ბერიას სახელი. ეს იგივეა, რომ თემურ-ლენგს, ჯალალედინს, მურვან ყრუს, შაჰ-აბასს, ალამაჰმად-ხანს დაუდგათ ძეგლი და ვილოცოთ მათზე.

1956 წლის 29 სექტემბერს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ითქვა: „1937 წელს საქართველოში თითქმის მთლიანად მოისპო ქართული ინტელიგენცია, მთელი შეგნებული საზოგადოება მოისხლეტ მტერმა ბერიამ და მისმა დანაშაულებრივმა ხროვამ აწამა, დახვრიტა თითქმის ყველა სახალხო კომისარი, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენელი, მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, ათასობით სხვა პატიოსანი ადამიანი, მუშები, კოლმეურნეები“.

„1937 წლის მაისში შემდგარ საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე დამსწრე 634 დელეგატიდან დახვრეტილ იქნა 425 დელეგატი, ამავე დროს ყველგან „გადარჩენილებს“ სიით ხსნიდნენ სამსახურებიდან, რიცხავდნენ პარტიიდან, როგორც კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეებს და წინადადებას აძლევდნენ შინსახკომს დაეპატიმრებინათ ისინი, შემდეგ როგორც ეს დოკუმენტებიდან ჩანს, მათი უმრავლესობა განადგურებულ იქნა ფიზიკურად“ (ვ. გურგენიძე „ჯვარს ვაცვით ელია“)

ბერიას დანაშაულებრივ საქმიანობაზე ქართველი ერის წინააღმდეგ უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს და არქივების გახსნის შემდეგ კიდევ უამრავი მასალა შეგროვდება.

განა შეიძლება საქართველომ დაივიწყოს სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, რომლებიც უშუალოდ ბერიას ბრძანებით აწამეს და მოსპეს.

„როდესაც საქართველოში დახვრეტის ფანტასტიკური სიები თითქმის ამოიწურა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან ბერიას ხელმოწერით იგზავნება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში სპეციალური დაშიფრული დეპეშა, რომელიც გვეუბნება, რომ ბერია მაშინდელ ხელისუფლებას მოსკოვში თხოვდა გაედიდებინათ, დაემატებინათ მათთვის ლიმიტი, რომ ასეულები და ათასეულები ჩვენი ახალგაზრდა შვილებისა დაეპატიმრებინათ და შემდეგ გაეულტათ“ (ვ. გურგენიძე „ჯვარს ვაცვით ელია“ თბ. 1991)

ამ ერთ წერილში ძნელია ყველა იმ დანაშაულებების აღნუსხვა, რაც მან ჩაიდინა საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე — ამიტომ ვაცხადებ პროტესტს ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ბერიას სახელი. რა უფლება აქვს ზუგდიდის კომპარტიას ხალხის ნაცვლად გადაწყვიტოს ზუგდიდში ქუჩები ვისი სახელობისა უნდა იყოს? როგორი ასატანია მიხეილ ჯავახიშვილისა და ბერიას ქუჩები გვერდიგვერდ? ანუ ჯალათისა და მსხვერპლის ქუჩები ერთ ქვეყანაში, ერთ ქალაქში?

ციალა ბრეგვაძე
რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი, ომისა და შრომის ვეტერანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლიდან «ხელისუფლების იერარქია» – IV ხელისუფლება –

ქართული ჟურნალისტიკის მახინჯი მხარე*

ნოდარ გრიგალაშვილი



ბატონი: მდინარე აღმა მიდის!
მონა: მიჩუხჩუხებს ბატონო...

„თქვენ ხართ მონები, თქვენ ხართ მლიქვნელები, თქვენ ხართ მონები!“ — უყვირა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე დეპუტატმა სუმბათაშვილმა გენერალური პროკურორის მოადგილეს — ყიფიანს.

ამ შეძახილში სიმკვახისა და მიდევნებული მუქარის მიუხედავად, არაორდინალური არაფერი იყო, არაორდინალური და მოულოდნელი დეპუტატის გამოსვლის სპიკერისეული შეფასება გახლდათ. მან ასე „დაიცვა“ შეურაცხყოფილი პროკურორის მოადგილე —

„ნურავის ეგონება, რომ აქ სხვაზე ნაკლები მონები სხედან“... ეს არ იყო დაფიქრების შედეგად გაკეთებული რეაქცია. სპიკერის პასუხი უფრო მაშინალური და იმპულსური გახლდათ, მაგრამ ზოგჯერ მთელი სიმართლე სწორედ ასეთ იმპულსურ პასუხებში მეფავნდება ხოლმე.

მართალია.

ჩვენ არავისზე ნაკლები მონები არ ვართ. ცხადია, სუბიექტი, რომელსაც ვემონებით სხვადასხვაა, მაგრამ შინაგანი მზაობა იმისათვის,რომ ვიღაცას მიეკედლო, თითქმის მთელი საზოგადოებისათვის, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, არის დამახასიათებელი.

ამას აქვს თავისი საფუძველი, სუბიექტურიც და ობიექტურიც, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ჯერ პანორამას შევხედოთ, დამონებული ფსიქიკის პანორამას.

ადამიანი, ბუნების შვილი და გვირგვინი, თავისუფალი სულით იბადება. მონურ საშშვინველს მას უკეთური ცხოვრების წესი სთავაზობს. ჭეშმარიტად თავისუფალ საზოგადოებაში ადამიანებს ბუნებრივად ცხოვრების გარანტია აქვთ. ამიტომაც ოხრავდა ჩვენში ყველა — ერთხელ დავიბადე და ისიც საბჭოთა კავშირიო.

სსრკ ხომ „ახალი ადამიანის“, ანუ თანამედროვე მონის შექმნის უზარმაზარი საცდელი პოლიგონი იყო.

სსრკ-ს დანგრევა არ აღმოჩნდა და ვერც აღმოჩნდებოდა საკმარის პირობად მის ყოფილ მკვიდრთა სულიერი არტახების დასაწყვეტად.

მონური ფსიქიკა დარჩა.

მეორე კაცი პირველის მონაა.

მესამე კაცი პირველისა და მეორის.

მეოთხე — პირველის, მეორის, მესამის...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ბოლო საფეხურზე კი დგას უპოვარი და არასმქონე, რომელიც ყველას მონაა „შუბლზე ოფლგადამდინარე“... აქ არ არის საუბარი იერარქიაზე და რანგთა შორის ჩინოვნიკურ დამოკიდებულებაზე. უფროს-უმცროსობის **წესი** საზოგადოებრივი ცხოვრების **წესრიგით** არის ნაკარნახევი.

აქ საუბარია იმაზე, როცა ერთი რანგით უფროსი ამბობს— მდინარე აღმა მიდისო და ერთი რანგით უმცროსი, ამ „აღმოჩენით“ გაბადრული, ადასტურებს— მიჩუხჩუხებს ბატონოო...

მონური ფსიქიკის უკეთურება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ საზოგადოება მლიქვნელთა დიდ საკრებულოდ არის ქცეული, არამედ იმაში, რომ საზოგადოება მლიქვნელთა და ამპარტავანთა, მონათა და მებატონეთა მოფუსფუსე ხროვაა ანტაგონიზმის კლასიკური გაგებისაგან განსხვავებული ვარიანტით — კერძოდ, ასეთ საზოგადოებაში მლიქვნელი და ამპარტავანი, მონა და მებატონე ერთი და იგივე პიროვნებაა. უფროსთან ლაქია, ქვეშევრდომთან ყარამან ყანთული.

ალბათ ყველას ახსოვს დასაკლავი ცხვარივით კისერგადაგდებული, თვალშიცრემლჩამდგარი ყვარყვარე თუთაბერი, ვირის აბანოში რომ ღნავის — „არ ვარ ბატონო მე ის კაცი“. არადა, როგორი მეხთამტეხელია იგივე ყვარყვარე მცირე ხნის შემდეგ, როცა მბრძანებლის როლში იგრძნო თავი.

ყვარყვარიზმი მონური ფსიქიკის საზოგადოების პროდუქტია. უპროდუქტობის ეპოქაში ჩვენ სწორედ ამ „მზა პროდუქციით“ ვართ ყელთამდე სავსენი.

მონა შეიძლება იყო, მაგრამ სამშობლოსი, აზრისა და ზნეობისა. ტიციან ტაბიძე ასე იტყოდა:

„დავბადებულვარ რომ ვიყო მონა
და . საქართველოს მედგას უღელი“.

ხალხში დღეს ძალიან ცოტაა, სამშობლოს უღელი რომ ადგას, ხალხის რჩეულ პარლამენტში კი მათი რიცხვი თითებსე ჩამოითვლება, მართალია, სოდომ-გომორის დაქცევის ბიბლიური სიუჟეტის არ იყოს, თუ ქვეყანას ათი მართალი კაცი მაინც ჰყავს, მას გადარჩენა უწერია, მაგრამ უფრო კარგი ის იქნებოდა, ქვეყანას გადასარჩენი რომ არაფერი სჭირდეს. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა იარსებებს სამოქალაქო საზოგადოება, ანუ პიროვნებების და არა მონების საზოგადოება, როცა საქმე გექნება ხალხთან და არა მასასთან, ბრბოსთან.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარდაუვალ პროცესში კი უპირველეს სიტყვას უნდა ამბობდეს ქართული ჟურნალისტიკა.

დიახ ჟურნალისტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისია უფრო ქართული მწერლობის ხვედრი იყო ისტორიულად და უნდა იყოს დღესაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მწერალი დღეს დარჩა მკითხველის გარეშე. ჟურნალისტიკა კი, ასე თუ ისე, კიდევ ფეთქავს. გაზეთს, ყველაფრის მიუხედავად, მაინც შემორჩა ცნობისმოყვარე მკითხველი. გაზეთი და ტელევიზია დღეს ერთადერთი მოედანია, საიდანაც საზოგადოებას ხმა შეუძლია მიაწვდინოს როგორც მწერალმა, ისე რიგითმა მკითხველმა. აქვს თუ არა ეს დიდი მისია და დიდი პასუხისმგებლობა ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს გაცნობიერებული?

ძირითადად, არა!...

ჟურნალისტიკა და კონიუნქტურა

ქართული ჟურნალისტიკა არათუ მონური ფსიქიკის საზოგადოების სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისათვის იღვწის, არამედ თავად წარმოადგენს ნიმუშს და გამომხატველს არათავისუფალი, პატრონყმური ურთიერთობებისას. ეს ბრალდება გადაჭარბებულად მოეჩვენება ყველას, ვინც გონების თვალით შეადარებს იმას, რა იყო ჩვენი პრესა და ტელევიზია ან რადიო კომუნისტური რეჟიმის დროს და რა არის დღეს. ასევე გადაჭარბებული ჩანს ეს ბრალდება იმის გათვალისწინების შემდეგაც, როცა ამა თუ იმ „აშვებული“ გაზეთის სახეს წარმოიდგენ, რასაც უნდათ და როგორც უნდათ ისე წერენ, მაშ რატომ არის პრესა და ტელევიზია არათავისუფალი, პატრონყმური ურთიერთობების მატარებელი?

ვეცდები ვუპასუხო ამ კითხვებს.

ზოგადად, ერთი წინადადებით კი პასუხი ასე შეიძლება გაიცეს.

დღეს ქართული ჟურნალისტიკა კონიუნქტურის მსახურია. ეს სამსახური სხვადასხვა ვარიაციებით ვლინდება. პირველყოვლისა თვალშისაცემია დაუფარავი დითირამბები ამა სოფლის ძლიერთა თუ საკუთარი პატრონების მიმართ. ამიტომ ამ საკითხის პირველ ქვეთავს პირობითად ასე დავარქვათ —

ძარის ჟურნალისტიკა

დიახ, არსებობდნენ კარის პოეტები, კარის ისტორიკოსები... შუა საუკუნეების ეტიკეტისათვის ეს მიღებული იყო, მიღებული გახლდათ კომპარტიის მმართველობის ბნელეთის ეპოქაშიც, მაგრამ დღეს უნდა იყოს თუ არა მიღებული, ამაზე პასუხისგაცემა მიჭირს, რადგან არ ვიცი, სხვა ქვეყნების პარლამენტში თუ არსებობს პარლამენტარის „შტატი“, რომელსაც ხმის ამოღება მხოლოდ მაშინ ევალება,როცა მის რჩეულს შეეხებიან. თუ არსებობს სადმე ჟურნალისტი, რომელსაც „შტატით ევალება“ თავისი ქვეყნის პრეზიდენტს ებაასოს ყოველკვირეულად. თუ არსებობს სადმე ჟურნალისტთა გარკვეული კასტა, რომელთაც ქვეყნის პრეზიდენტის ამალაში ყოფნა „ევალებათ“ უცხოეთში უფასო მოგზაურობისას, მით უფრო, ამ კასტაში თუ ერთ კაცსაც ვერ იპოვით, რომელსაც მშობლიურ ენაზე ორი სტრიქონი დაუწერია და გამოუქვეყნებია. კარის ჟურნალისტები, როგორც წესი, უნიჭო და უპრინციპო ადამიანები არიან, იმდენად უნიჭონი,რომ ვერ ახერხებენ თავიანთი კუმირის დაცვას აშკარად უსაფუძვლო ბრალდებებისაგანაც კი. მათ მხოლოდ ხბოს აღტაცებით შეუძლიათ ამა სოფლის ძლიერთ გუნდრუკი უკმიონ და პიროვნული ლაქიობის დონეზე იზრუნონ საკუთარი ადგილის შესანარჩუნებლად მზისქვეშეთში.

მათ შინ ბევრი რამის წახდენა არ შეუძლიათ, რადგან კარის ჟურნალისტიკა ორიოდ გამონაკლისის გარდა, ძირითადად ანონიმურად მუშაობს, რამდენიმე წინადადებიან ინფორმაციებს აქვეყნებს შიგა და შიგ. ეს არის და ეს. ცოტა მეტს უცხოეთში მოგზაურობისას აშავებენ, როცა ვიდეოკამე-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ „საქართველო“ №15

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით მაღაზიებში დარბიან იმ დროს, როდესაც ქვეყნის მეთაურს მნიშვნელოვანი შეხვედრები ან პრესკონფერენციები აქვს.

კარის ჟურნალისტიკის უმთავრესი თვისებაა — ყველა მთავრობის და ყოველგვარი იდეოლოგიის დროში დარჩეს თავის ადგილზე ახალი ტყავით...

„სახელმწიფო“ პრესა და ტელევიზია

სახელმწიფოს ცნება ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს, რადგან სახელმწიფო პრესა და ტელევიზია იმ აზრით, როგორც „საქართველოს რესპუბლიკას“ და ტელერადიოკორპორაციას მოიხსენიებენ ხოლმე, ჩვენში არ არსებობს. ერთიც და მეორეც არის სამთავრობო და არა სახელმწიფო მნიშვნელობისა.

სახელმწიფოს ემსახურება ყველა ის საინფორმაციო საშუალება, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს იცავს. ამ თვალსაზრისით ვთქვათ გაზეთი „საქართველო“ არის სახელმწიფო გაზეთი, ხოლო ე.წ. „სახელმწიფო“ საინფორმაციო საშუალებები არასახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებია. ასე მაგალითად, ისინი აქებდნენ და მხარს უჭერდნენ ლიბერალურ ფულად საკრედიტო პოლიტიკას, უკეთეს შემთხვევაში, არ აკრიტიკებდნენ, ამ პოლიტიკამ კი ქვეყნის ეკონომიკა დაღუპა.

ისმის კითხვა, რატომ არის ის გაზეთი არასახელმწიფოებრივი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური ნგრევის აღსაკვეთად იბრძოდა, ხოლო ის გაზეთი სახელმწიფოებრივი და ხელისუფლების მხარდამჭერი, რომელიც ამ ნგრევას ხელს უკრავდა?

ბუნებრივია, საუბარი უნდა იყოს სამთავრობო პრესასა და ტელევიზიაზე. საბედნიეროდ, დღეს „სამთავრობო“ და „სახელმწიფო“ იდენტური ცნებები არ არის, ვინაიდან, სამთავრობო და სახელმწიფო ინტერესები ხშირად ცასა და დედამიწასავით შორი-შორს დგანან. ეს ვითარება განაპირობებს ე.წ. „სახელმწიფო“ პრესისა და ტელევიზიის გადაგვარებას, კონიუნქტურულობას, ზოგჯერ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებასაც კი.

ერთი მაგალითიც არ არსებობს იმისა, რომ „სახელმწიფო“ საინფორმაციო საშუალებებს რომელიმე მინისტრის თანამდებობასთან შეუთავსებლობის საკითხი თავად დაესვათ. უცხოური კრედიტებით ლობიოს ამოსაღებ „ჩამჩებს“ რომ იყიდის,ის კაცი თავის ადგილზე გასაჩერებელია?

ყველა ზემოთ იყურება, რას იტყვის პირველი, ამის შემდეგ გნიასი და განგაში, გაგიხარიან, იციან!

ასე რომ, ჩვენი „სახელმწიფო“ პრესა და ტელევიზია მეოთხე ხელისუფლება კი არ არის, რომელსაც პირველ საშზე კონტროლის უფლება განუმწესა არსთა გამრიგემ, არამედ, პირველი სამი ხელისუფლების ხელის ბიჭია, რასაც უბრძანებენ შეასრულებს, რასაც ჩასძახებენ ამოიყვირებს...

„თავისუფალი“ პრესა

პრესის განთავისუფლება მოხდა ისე, როგორც 1864 წელს გლეხი განთავისუფლდა ბატონისაგან. მიწა ბატონს, „თავისუფლება“ გლეხს.

სტამბა სახელმწიფოს, ქაღალდი სახელმწიფოს, „თავისუფლება“ გაზეთს... გაზეთი იძულებული გახდა ახალი პატრონი ეძებნა, ფულიანი კაცი, ფულიანი ორგანიზაცია. მუსიკას კი ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის. ასე შეიქმნა ჩვენში „თავისუფალი“ პრესა, რომელმაც მომხვდურთაგან თავის დასაცავად ეშმაკურ ხერხს მიმართა: გამოქვეყნებულ მასალებზე ავტორები თავად აგებენ პასუხსო. დალოცვილო, რედაქცია მაშინ რა საჭიროა. დადგეს ერთი კაცი სტამბაში ლინოტიპთან და პირდაპირ იქ მიიტანენ წერილებს პასუხისმგებელი ავტორები...

პარტიული პრესა

იმას, რასაც დღეს პარტიულ პრესას ვეძახით, თავდაპირველად არ შექმნილა პარტიული ნიშნით. პარტიული პრესა ჩვენში თავისუფალ პრესამდე არსებობდა. არსებობდა ან არალეგალური გამოცემების სახით, როგორც ანტიკომუნისტური თვითგამოცემები, ან ეროვნული მოძრაობის ზეწოლის შედეგად რეგისტრირებული, ზეპარტიული, ანტიკომუნისტური, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბეჭდვითი ორგანო.

პარტიული პრესის სიუხვე ახლადშექმნილ პარტიათა რიცხოვნებამ გამოიწვია.

პარტიული პრესა მანამ იქნება საჭირო, სანამ ჭეშმარიტად თავისუფალი პრესა, ჭეშმარიტად ობიექტური გამოცემები არ არსებობს.

დღეს თითქმის ყველა გაზეთი უწყებრივია, უბრალოდ, ზოგს აწერია თავისი პატრონის ვინაობა, ზოგს არა.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე პარტიული პრესა ალბათ უნდა გაუქმდეს. რამდენადაც ვიცი, შეერთებულ შტატებში პარტიული პრესა არც არსებობს, ასე უნდა მოხდეს ჩვენშიც, და ეს მოხდება ბუნებრივად, ობიექტური და ჭეშმარიტად თავისუფალი პრესის პირობებში. უწყებრივ გაზეთებს მკითხველი არ ეყოლება ან ეყოლება იმდენად მცირე, რომ ასეთი გამოცემები შიდაუწყებრივი მოხმარებისათვის იქნება მხოლოდ საჭირო.

ამ ეტაპზე კი პარტიული პრესა იგივე პრობლემების წინაშეა, როგორც ნებისმიერი სხვა გამოცემა, იმ დამატებითი სირთულით, რომ მისი დისკრედიტაცია განსაკუთრებით აძლევს ხელს ხელისუფლებას, თუ ცხადია, მხარდამჭერად არ ხარ აღქმული...

პარტიული პრესაც კონიუნქტურულია, ისე როგორც სამთავრობო პრესა და ტელევიზია, ისე როგორც „თავისუფალი“ პრესა.

პირველი ხელისუფალთა სარკმელიდან უყურებს საქართველოს...

მეორე დამფინანსებელთა, სპონსორთა სარკმელიდან...

მესამე პარტიული ოფისების სარკმლებიდან...

მეოთხე ხელისუფლებას კი უნდა ჰქონდეს ერთადერთი — თავისუფლების სარკმელი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რეპლიკა

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ქედს იხრის სტალინის წინაშე?!

ცივილიზებულმა სამყარომ ფაშიზმსა და კომუნიზმს ერთნაირი განაჩენი გამოუტანა; ასევე, თითქმის ერთნაირი ნიშნით არიან შეფასებული ფაშიზმისა და კომუნიზმის წამყვანი ფიგურები ჰიტლერი და სტალინი. მაგრამ ამ ფაქტისადმი იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ რუს შოვინისტებთან ერთად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ქართველები, უფრო სწორად ქართველთა ერთი დიდი ნაწილი.

სწორედ საქართველოში ჩამოყალიბდა ხსოვნის საზოგადოება „სტალინი“, სტალინის პოლიტიკური ორგანიზაცია, გაზეთი „სტალინელი“. სწორედ საქართველოს საინფორმაციო საშუალებები პოულობენ დროსა და საშუალებებს რეკლამა გაუკეთონ საზოგადოება სტალინს, მრავალჯერ მოისმინონ მისი თავმჯდომარის ბანალური საუბრები და ა.შ.

სტალინისადმი დიდი ერთგულება, გასაგები მიზეზების გამო, კიდევ ერთხელ გამჟღავნდა ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო დღეებში. საზეიმო შეხვედრებზე გამომსვლელებიდან თითქმის ყველა, თავის ვალად რაცხდა სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების დამტკიცებას.

კულმინაცია კი მაინც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განცხადება გახლდათ, რომ ის გორში უნდა ჩავიდეს, რათა მუხლი მოიდრიკოს დიდი მხედართმთავრის ძეგლის წინაშე, რაც აღასრულა კიდეც 7 მაისს. ასეა მუდამ, დემოკრატია ქედს იხრის ტირანიის წინაშე!

აქ მხოლოდ ერთი კითხვა ჩნდება: სახელმწიფოს მეთაური, ვინც სხვებთან ერთად ითვლება ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის დამანგრევლად, კომუნისტური მენტალიტეტის მსხვრევის ერთ-ერთ ინიციატორად, მაშინ რატომ იხრის ის ქედს სტალინის წინაშე? ვინ გაყო ერთმანეთისაგან სტალინი, კომუნისტური მენტალიტეტი და ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმი?

მთავარი კი მაინც ისაა, რომ სტალინი ისტორიაა და მას ისტორიამ თავისი განაჩენი გამოუტანა. ამ განაჩენს კი ვერავინ შეცვლის, ვერც ვეტარანების მოწოდება და ვერც თანამდებობის პირთა ენთუზიაზმი. სხვა მხრივაც შევხედოთ საკითხს:სტალინი საქართველოს პრობლემა არაა და თუ მისი სახელი უსაფუძვლოდ იჩრდილება, ეს სხვასთან ერთად იმის მაჩვენებელიცაა, რომ სხვა ქვეყნის სამსახურში დახარჯული დრო, საბოლოოდ ფუჭად გახარჯული დროა, ფუჭად გაღებული მსხვერპლია. ეს დასკვნა მაინც გამოვიტანოთ სტალინისა და მის ირგვლივ დატრიალებული ამბებიდან.

საერთოდ კი, სტალინისადმი ნოსტალგია, მითუმეტეს სამთავრობო დონეზე, ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის, პოლიტიკისა და პოლიტიკანობის აღრევის უტყუარი საბუთია.

მიხეილ მახარაძე

მკითხველთა წერილებიდან

ალტერნატიული სამედიცინო სამსახური?

(პროფესიონალი გვირჩევს)

დღეს, როდესაც უჭირს ქართველ ერს, უჭირს ქართულ სახელმწიფოს, ქართველ ინტელიგენციას, მათთან ერთად უჭირთ ექიმებსაც. მცირე ბიუჯეტის, ან უფრო სწორად, ბიუჯეტის არარსებობის გამო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული მედიცინა და მასთან ერთად ქართველი მედიკოსები. გარდამავალ ეტაპზე რა თქმა უნდა, არსებობს გზები, რომელთა გამოყენებით შეიძლება მიმდინარე პროცესებისგან გამომდინარე შედეგები ან თავიდან ავიცილოთ, ან შერბილებული მაინც იქნას.

ჩემი აზრით, სამედიცინო მომსახურეობა საქართველოში უნდა წარიმართოს სამი გზით:

I. წითელი ჯვრის სამედიცინო სამსახური;

II. სადაზღვევო მედიცინა;

III. კერძო მედიცინა.

I. წითელი ჯვრის სამედიცინო სამსახური ბიუჯეტი: 55% სახელმწიფო ხარჯზე და 45% ჰუმანიტარული დახმარებისა და შემწირულობების ხარჯზე.

ჩემი აზრით, შემოწირულობები უნდა შემოდიოდეს ფასიანი მარკების რეალიზაციის ხარჯზე. ასეთი მარკის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს დღეგანდელი ღირებულებით 50000 კუპონს.

კონტიგენტი: წითელი ჯვრის სამედიცინო სამსახური უნდა ემსახურებოდეს სახოგადოების იმ ფენას,რომლის შემოსავალიც შეესაბამება არსებული ნორმის მინიმუმს (საჭიროებს დეტალურ განხილვას).

II. სადაზღვევო მედიცინა

ბიუჯეტი: მოქალაქეთა სამედიცინო დაზღვევა, შემოსულ ტურისტთა და ტრანზიტით გამავალ მგზავრთა დაზღვევა. იმ პირთა მიერ გადახდილი თანხა, რომლებიც დაზღვეულნი არ არიან (იხდიან მკურნალობის თანხას სრული ტარიფით).

კონტიგენტი: პირები, რომელთა შემოსავალი თვეში აღემატება 200000 რუსულ მანეთს (თანხა სადავოა). ამ პირთა რეგისტრაცია უკვე შეიძლება სასამართლოებში გატარებული კომერციული ფირმების მიხედვით.

III. კერძო მედიცინა

ამ სახეობას უნდა განეკუთვნებოდეს ქარხნების მედ. სან. ნაწილები, გამოსაკვლევი ცენტრები და ყველა ის დაწესებულება, რომლებიც გაიხსნება კერძო პირების მიერ. ეს დაწესებულებები ალბათ უფრო პროფილური იქნება.

ზემოთაღნიშნულ სამ სახეობას უნდა მივაკუთვნოთ საავიაქო ქსელი და სანატორიულ-კურორტული დაწესებულებებიც.

სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონის, მათი მუშაობის დიაპაზ ნის განსაზღვრას უნდა განახორციელებდნენ სამედიცინო ასოციაციები, უფრო სწორად, დარგობრივი ასოციაციები: თერაპიული, ქირურგიული, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული...

ექიმთა კვალიფიკაცია უნდა განისაზღვროს სამი კატეგორიით:

I. უმაღლესი კატეგორიის ექიმი (ექიმი, რომელსაც დაცული აქვს სამეცნიერო ხარისხი და მკურნალის უფლებასთან ერთად ნებადართული აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებაც).

II. დამოუკიდებელი ექიმი (ექიმი, რომელსაც ასოციაციის მიერ მინიჭებული აქვს გადწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებლად ოპერაციების წარმოების უფლება).

III. დამხმარე ექიმი (ექიმი, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს ათვისებული მკურნალობის მეთოდები და საჭიროებს მეთვალყურეობას).

სამედიცინო პროფილური ასოციაციების შემაკავშირებელი რგოლი უნდა იყოს ასოციაციების თავმჯდომარეთა კრებები, სამედიცინო გაზეთი და სამედიცინო ჟურნალი.

სამედიცინო ასოციაციის მიერ შემუშავებული ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდური რეკომენდაციები უნდა იყოს ის მინიმალური მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ექიმმა უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა. ყველა დარღვევა, რომელიც გამოიწვევს ავადმყოფის დაინვალიდებას ან სიკვდილს, განხილული უნდა იქნას დარგობრივი ასოციაციის სხდომაზე სათანადო სასჯელის გამოტანით. მის მიერვე უნდა იქნას გადწყვეტილი ექიმის სამართალდამცავ ორგანოებში გადაცემის საკითხი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ცხოვრებაში გატარება გამოიწვევს:

ა) არ იქნება საჭირო მკვეთრად შემცირდეს სამედიცინო პერსონალის შტატები.

ბ) მოსახლეობის ნებისმიერი ფენა არ დარჩება სამედიცინო დახმარების გარეშე.

გ) ნორმირებულ იქნეს სამკურნალწამლო პრეპარატები.

დ) აღიკვეთოს მედიკამენტებით არალეგალური ვაჭრობა.

ე) დაიხუროს ყველა ის უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სამედიცინო სასწავლებლები, რომლებიც პედაგოგიური კოლექტივის არასრულფასოვანი ცოდნის გამო ვერ მოგვცემენ ღირსეულ კადრებს.

ვ) დაცული იქნება სამედიცინო დეონტოლოგიის პრინციპები.

ზურაბ ლუტიძე

ექიმი

«ძირს დამნაშავეობა»

მეორე გვერდიდან

დება. სურვილსა და შესაძლებლობებს შორის ძალიან დიდი ზღვარია. სასიკეთო ტენდენციები შეიმჩნევა. თუ ადრე ასეული მკვლელობა იყო დაფიქსირებული, ახლა ნაკლებია. მაფია ძლიერია. ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა გართულებულია. აქ გამოთქმული იყო აზრი, თითქოს სახელმწიფო ორგანოები უპირისპირდებიან „მაშველთა კორპუსს“. ეს ასე არ არის, დამნაშავე ვინც არ უნდა იყოს, ყველამ პასუხი უნდა აგოს.

კოტე მახარაძე:

ანიშნავი იყო ბატონ კოტე მახარაძის გამოსვლიდან ერთი ფრაგმენტი. მან აღნიშნა: ინტელიგენციამ მხარი უნდა დაუჭიროს პოლიციას, ჩემთვის მთლად ნათელი არ არის ხალხის მხარდაჭერის ამ მარადიული მოთხოვნის შინაარსი. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს და ეს იქნება ერთმანეთისთვის მხარდაჭერაო. მე რომ სცენაზე როლს ვთამაშობ და ვიყვირო, ხალხო, მხარი დამიჭირეთ, რა უნდა ჰქნათ მაინც, ამოხვიდეთ სცენაზე და როლის თამაშში უნდა მომეხმაროთო?

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონები ლევან სანიკიძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, **ვახტანგ რჩეულიშვილი.** ამ უკანასკნელმა ჩვენდა მოულოდნელად თავის გამოსვლაში არ ახსენა ნოდარ ნათაძე, განსხვავებით რეზო ამაშუკელისაგან და საერთოდაც იმ დღეს ვიცესპიკერს ურიგო სიტყვა არ გამოუვიდა, კერძოდ, მან აღნიშნა,თავი დაანებეთ შევარდნაძისათვის დამადლებას შენი კაცი ვარ, გემსახურები და ა.შ. საქართველოს ვემსახუროთ და მეთაურის მხარდაჭერა ეს იქნებაო. შესანიშნავი თეზისია, თავად ვიცე სპიკერიც რომ ახორციელებდეს...

და ბოლოს, ცალკე გვინდა გამოვყოთ პოეტ რეზო ამაშუკელის „ისტორიული“ გამოსვლა.

რეზო ამაშუკელი:

ბატონმა რევაზმა ისაუბრა მოქალაქეთა კავშირის ღირსებებზე, „ნამდვილ მოქალაქეთა კავშირზე“ და არა „მწვანეებზე“ და სხვებზე... (მისი დეფინიციაა). მოქკავშირის სასახელოდ ბატონმა რევაზმა მიიჩნია ის ფაქტი,რომ მათ თბილისი ზვიადისტებისაგან „მკერდით დაიცვეს“. ის კი აღარ უთქვამს, იუნკრებივით ეკვეთნენ „მტერს“ თუ სამტრედიასთან მომდგარი ზვიადისტების წინაალმდეგ თბილისში ფილარმონიის დარბაზში ჰქონდათ მოწყობილი „ბარიკადები“.

ჯერ მოითხოვა პარლამენტს ბოდიში მოეხადა ქ-ნ მედეა მეზვრიშვილისათვის, ამაში იგულისხმა ბ-ნ ჯაბა იოსელიანის კრიტიკა... შემდეგ კი აღნიშნა, ხომ ხედავთ არც კრიტიკას ვერიდები, მაგრამ მხედრიონის ბიჭები მხარში გვიდგნენ იმ „ნაძირალასთან“ ბრძოლაში და ამას ნუ დავუვიწყებთ, მთავარი პრობლემა ეგენი კი არა, მრგვალები არიანო. ზვიადისტები „გველის წიწილების“ ეპითეტით შეამკო და შემდეგ განაცხადა, მუხრან მაჭავარიანი, რაც მან ზუგდიდში თქვა, იმის შემდეგ თბილისში არ უნდა დადიოდესო. აქვე „შეამკო“ ელიზბარ ჯაველიძე და როცა გაახსენდა ჯაველიძე მისი ბავშვობის მეგობარია, დასძინა, მეგობრები გულიდან ამოვიგლიჯეო. (ცხადია „გველის წიწილების“ ბანაკში მყოფ მეგობრებს გულისხმობდა.)

გადასწვდა ნოდარ ნათაძესაც, რას ელაპარაკებოდა ქობალიას ტელეფონითო. ის კი აღარ უთქვამს, როგორ მოისმინა სხვისი სატელეფონო საუბარი, არც ის უთქვამს, რომ თუ ეს „საუბარი“ სუკის საშუალებით გახდა ცნობილი, თავად სუკის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად რომ უარყო ასეთი ფაქტი. ამ „საზოგადო“ საკითხებზე საუბარი ბატონმა რევაზმა დასასრულ შაკიაშვილისადმი გამიზნული რეპლიკით. პარლამენტში გარეწრები სხედან, შაკიაშვილს ვპასუხობ: რესტორანშიც წავალ, ქალთანაც გავიცლი, ღვინოსაც დავლევ, შაკიაშვილს კი არ აქვს უფლება ჭკუა მასწავლოთ.

შეხვედრა მარიოლაც კრწანისის რესტორნით დასრულდა. იქ, ცხადია, ჟურნალისტები ვერ მოვხვდებოდით და ამიტომ რეპორტაჟი აქ ვასრულებ.

ნინო ზამთარაძე

წითელი ჭირი

ავთანდილ პოპიაშვილი

მესამე გვერდიდან

ლები მოვიდნენ სათავეშო. ჩვენს კითხვაზე კი, თუ როგორაა, რომ ეს კარგი სისტემა ცუდი ხელმძღვანელების მოსვლას ხდის შესაძლებელს, მას პასუხი, ცხადია, არ გააჩნდა.

ამ რომანტიკოს-იდეალისტსაც ერთხელ მაინც აკი მოუხდა მიწაზე ჩამოსვლა და სინამდვილესთან შეჯახება!...

ერთხელ, გამოცდის წინ კონსულტაციაზე ჩვენ მას საქართველოს კოლონიურ მდგომარეობაზე და დამოუკიდებლობის აღდგენაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა (ამ კაცს ძალიან უყვარდა ჩვენი ჯგუფი, პირდაპირ განებივრებულები ვყავდით და ამით ვისარგებლეთ!). მასწავლებელმა ხათრი ვერ გაგვიტეხა, გამოგვყვა მსჯელობაში და გვითხრა: კარგია თავისუფლება, აქ ცოტა არ იყოს დაიბნა და ასეთი შედარება მოიტანა — კარგია ბრილიანტი რომ გვქონდეს, მაგრამ ვინ მოგვცაო... ამ სიტყვების მერე ღრმა პაუზა გააკეთა, თავი ხელებში ჩარგო, ბოლოს, ეტყობა, 37-იანი წლების ელდამ მოუარა (ძველი კაცი იყო...), ეტყობა, თავისმავე სიტყვებმა შეაშინეს, მან მძლავრად დაჭკრა მუშტი მაგიდას და დაგვიღრიალა: თქვენ ღარიბი გლეხის შვილები კი არა კულაკის შვილები ყოფილხართ, კაგებეს აგენტები ყოფილხართო. ახლავე წაეთრიეთ აქედან და ვნახავ გამოცდას როგორ ჩამაბარებთო.

გამოცდაზე ეს კაცი ცივად შეგვხვდა და რამდენადმე დარცხვენილიც. ბევრი გამოკითხვის გარეშე დაგვიწერა ნიშნები. მას მერე იგი ყველა ჩვენგანს თვალს არიდებდა. და როგორც მომდევნო ჯგუფებიდან შევიტყეთ, ლექციებზე ძველებური ენთუზიაზმიც დაუკარგავს..

ეს მაგალითები იმის ნათელსაყოფად მოვიტანე, რომ პატიოსან ადამიანებს არ სწამდათ მარქსიზმისა, უპატიოსნოების რწმენაზე კი ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთი მაგალითიც:

ერთმა უსპეტაკესმა პიროვნებამ, ჩვენი დროის სწორუპოვარმა მოაზროვნემ და ძოძღვართმოძღვარმა 9 აპრილამდე დიდი ხნით ადრე ერთ კერძო საუბარში აღიარა თავისი ყველაზე დიდი ცოდვა — კომპარტიაში შესვლა უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო (იგი 37 წელს რეპრესირებული ოჯახის წევრი იყო და ახალგაზრდობაში მართლაც ძალიან უჭირდა; სამეცნიერო დაწესებულებებსა და რედაქციებში კი მაშინ განყოფილების გამგედ უპარტიოებს არ ნიშნავდნენ, მით უფრო რეპრესირებულთა შვილებს! ამისთანა აღიარება, ცხადია, ხელისუფლების წარმომადგენელთაგან გამორიცხული იყო, მაგრამ ეს იმას, როდი ნიშნავს, რომ მათ კომუნისტური მოძღვრებისა სწამდათ! მრავალ სამეურნეო და ადმინისტრაციულ მუშაკს ხომ, პირიქით, ჭრთამი — საფასური იქით ჰქონდათ გადახდილი დაწინაურების მიზნით პარტიაში შესასვლელად!...

ასე რომ, მარქსიზმისა არ სწამდათ არც ადრე, დღეს კი ხომ უკვე ყველამ ყველაფერი იცის, ყველაფერი დაიწერა. დღეს აკი თავად კომპარტიის ყოფილმა ლიდერებმა აღიარეს, რომ მარქსიზმი სიცრუეა და მთელი ჩვენი ცხოვრება ამ სიცრუესა და უზნეობას ვემსახურებოდითო (!!!). საბოლოოდ 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის ცნობილი „პუტჩის“ შემდეგ კომპარტია კანონგარეშედ გამოცხადდა, აიკრძალა და ამით თითქოს უნდა დამთავრებულიყო 70 წლიანი კოშმარი და საქართველო საბოლოოდ განთავისუფლებულიყო წითელი ჭირისაგან, მაგრამ...

დღეს საქართველოში ერთის ნაცვლად ორი კომუნისტური პარტიაა და პლუს სტალინის სახელობის პოლიტიკური ორგანიზაცია... სამივე მათგანი კომუნისტური კოშმარის აღდგენით იმუქრება და პრორუსულ ორიენტაციაში დღევანდელი ოფიციალური ხელისუფლების კონკურენტია (დალოცვილმა რუსეთმა ისე მოაწყო საქმე საქართველოში, რომ ხელისუფლების მაძიებელ გარეწართა შორის უშეღავათო კონკურენცია დააწესა პრორუსულ ორიენტაციაში)...

კომუნისტური იდეოლოგიისა და სტალინიზმის ამ აღორძინებას ჩვენში, უეჭველია, ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მარცხმა ამ ეტაპზე, რაშიც დანაშაული მიუძღვით ამ მოძრაობის ამბიციურ წინამძღოლებს და მასთან მიტმასნილ უცხო ქვეყნის აგენტურას. მაგრამ მარტო ამით არ აიხსნება სტალინიზმისა და კომუნისტური იდეოლოგიის დღევანდელი უჩვეულო რენესანსი. კი ბატონო, ეროვნულმა ძალებმა ვერ ივარგეს, შუაზე გაიყვნენ, გაიხლიჩნენ და ერთმანეთს დაუწყეს ომი, იმის ნაცვლად, რომ ერთ მუშტად შეკრულიყვნენ და რუსეთის კოლონიური უღლისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის ებრძოლათ. ამ ომმა და ქვეყნის სათავეში ბანდიტების მოსვლამ მართლაც წარუკვეთა ქართველ ხალხს სასო სულიერადაც და ეკონომიკურადაც. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ განა ამის გამო თავისუფლება, დამოუკიდებლობის იდეაა ცუდი და მონობაა კარგი?! ანდა, რაკი მთავრობამ რეფორმები წესიერად ვერ წარმართა, ამიტომ განა კაპიტალიზმი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა ცუდი და სოციალიზმი — ქვეყნის ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად, დიდ ციხედ გადაქცევაა კარგი?!

საკითხავია, მაინც რა გენეტიკური კოდი, „სიცოცხლის რა ელექსირი“ იმალება კომუნისტური იდეოლოგიისა და სტალინიზმის ამ საკვირველ ფენომენში ქვეყნის უკიდურესი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური შეჭირვების დღევანდელ უმძიმეს ჟამსაც კი, რომ ასე გულგალაღებულნი გამოიყურებიან მისი ადეპტები?

2. სტალინიზმის კრედო და საზრისი

სტალინიზმის ფენომენსა და კომუნისტობაში ის იდუმალი, ქვეცნობიერი იატაკქვეშა კოდია ჩადებული, რომ მათი მიმდევარი თავისუფლდება სამშობლოს წინაშე ყოველგვარი მოვალეობისაგან, თავისუფლდება პატრიოტული გრძნობისაგან და ხელი ეხსნება ფართო ანტიქართულ საკარიერო ასპარეზზე.

სამშობლოს წინაშე მამულიშვილის ვალი ილიასებურად ერის წყლულის გულზე წყლულად დაჭდევასა და ქვეყნის უბედურებით ძილშიაც კი ვერ დაძინებას ნიშნავს!... სტალინისტობა და კომუნისტობა კი კარიერისტებს სრულიად ათავისუფლებს ამ რაღაცა სამშობლოს წინაშე ვიღაცა ნაციონალისტების მიერ გამოგონილი ვალისაგან!

თქმულის საილუსტრაციოდ ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო.

კახეთში ხალხმრავალ ქორწილში იქ მყოფმა დ. მჭედლიშვილმა („კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორი იმ ოჯახის ახლობელი ყოფილიყო) მოულოდნელად თამადას სიტყვა სთხოვა და სტალინის სადღეგრძელო შესვა. ქართველ ხალხს ამაზე დიდი კაცი არც გვყოლია და აღარც გვეყოლებაო — გადაგვიწურა იმედი. უბრალოდ, რაც ერს პოტენცია გააჩნდა, ამ პიროვნებაში განივთდაო. ჩვენ მეტი პოტენცია აღარ გაგვაჩნია და რაც გავაკეთეთ სტალინის შობით, ამით უკვე სამუდამოდ ვალმოხდილი ვართ მსოფლიოს წინაშეო. პირიქით, მსოფლიოა ჩვენთან ვალში, რადგან ჩვენ მას სტალინი ვუძღვენითო. სტალინთან შედარებით ილია არაფერიც არ იყო, ეს კარგად უნდა იცოდეთ ახალგაზრდებოო.

უნდა ითქვას, რომ ამ სტალინისტურ-სატანისტურ გამოხდომას გართულება მოჰყვა და ორატორმა ბოლომდე ვერ შეისრულა თავისი ზრახვა, მაგრამ აქ საინტერესო სწორედ ისაა, თუ მაინც რა რჯიდა, რა ამოძრავებდა მას სტალინის ამ განდიდებისა და ილიას დაკნინებისას. ამ ქორწილში მას ალბათ მაინცდამაინც სამსახურებრივად არ მოეთხოვებოდა „იდეოლოგიური მუშაობა მასებში“. საგულვებელი უფრო ისაა, რომ ეს ყველაფერი მაინც პირადი ინიციატივიდან მოდიოდა და მაშასადამე ეს კაცი თავისი ამ სიტყვით საკუთარი პერსონის მანიფესტაციას, საკუთარი კრედოს დემონსტრაციას, საკუთარი ცხოვრების გზის თვითგამართლებასა და ამ მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდადამოძღვრას ისახავდა მიზნად.

ამ დემაგოგიის ქვეტექსტი და დედააზრი კი მოკლედ ასეთია: ახალგაზრდებო, ყური არასოდეს ათხოვოთ ვიღაცა ილიას ღაღადისს მამულის წინაშე რაღაცა ვალის თაობაზე; იყავით ჭეშმარიტი სტალინისტები და კომუნისტები, ფეხებზე გეკიდოთ ქვეყანა და ჩემსავით მუდამ კეთილდღეობაში იქნებითო. ჩვენი ვალი მხოლოდ ის არის,რომ მუდამ სტალინზე ვილოცოთ, მამულის წინაშე უმძიმესი მოვალეობისაგან ჩვენი განთავისუფლებისთვისო.

აი სტალინისტობის ჭეშმარიტი კრედო და საზრისი! სტალინისტობა და კომუნისტობა სწორედ მამულის წინაშე მძიმე მოვალეობისაგან პიროვნების თავისუფლების, აზატობის გამომხატველი და გარკვეული წყობის ხალხი ასე ამიტომ მიელტვის მას!

ესაა და მხოლოდ ეს სტალინიზმისა და კომუნიზმის საწყისი და ამაშია ეროვნულ გრძნობადეფიციტიანებში მათი მიმზიდველი ძალა, თორემ ბოლოსდაბოლოს რა საამაყოა სტალინელობა, როცა ამ კაცის წარმომავლობა და ვინაობაც კი საეჭვო ბურუსითაა მოცული (ოფიციალურად ჯუღაშვილადაა ცნობილი, გადმოცემით კი სხვა გვარის კაცის ნაშიერადაა მიჩნეული; ჩვენ ქართველად ვაღიარებთ, მისი შვილები კი მას რუსად იცნობდნენ...) ანდა სტალინის სახით მსოფლიოს წინაშე ქართველთა რომელ „ვალმოხდაზეა“ ლაპარაკი,როცა ეს კაცი ბოროტების იმპერიის შექმნაში და მსოფლიო საზოგადოებრივი პროგრესის თითქმის ერთი საუკუნით შეფერხებაშია ბრალდებული?!

3. გარდუვალია ჯვაროსნული ომი

დღეს, ღვთის მადლით, ხელოხალი მოდერნიზაციისათვის აღძრულ რუსეთს იმპერიად შესაკერად საჭიროა რაიმე ახალი იდეოლოგიური სისტემა აღარ გააჩნია, ძველი კი მორალურად და ფიზიკურად ამორტიზებულია, გაცვეთილია. ახლა ძნელი აღარაა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ყველა ქმედებას თავისი შეფასება მიეცეს, მათ შორის რუსეთის მიერ საქართველოსადმი აგრესიასაც აფხაზეთში და სამაჩაბლოში.

ეჭვი არაა არც იმაში, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს იქნება თუ ხვალ კვლავ ფეხზე წამოდგება, ჭუჭყისა და ქაფისაგან დაიწმინდება, მოძრაობის სათავეში ახალი, შესაფერისი ხალხი მოვა და მშდგარი ბრძოლის ფასად ეროვნულ სუვერენიტეტს მოვიპოვებთ, მაგრამ საუბედუროდ სტალინიზმი და კომუნიზმის წითელი ჭირი ჩვენში კვლავ შებრკოლების ლოდადაა ქცეული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე.

ისევე როგორც ამ საუკუნის დასაწყისში, აგერაა, ახლაც კვლავ აქტიურ ასპარეზზე გამოდიან უცხო ქვეყნის სამსახურში მდგარი, ყოვლად უსინდისო, ანტიეროვნული და ბნელი ძალები და საქართველოს მოსახლეობის დაბეჩავებულ ფართო ფენებს ისევ საბჭოურ-კომუნისტური მონობის სასაფლაოზე მიერეკებიან. ჩნდება რეალური საფრთხე იმისა, რომ მოახლეობულ არჩევნებში ამ ნამუსგარეცხილმა სტალინისტებმა და კომუნისტებმა და მათმა მსგავსებმა ჩვენი დაბეჩავებული და გზააბნეული მოსახლეობის ხმები მიიღონ და კვლავ მრავალი წლით, თუ სამუდამოდ არა, გამოჭედონ ჩვენი სამშობლოსათვის მონობის ბორკილი. სულიერ-ფიზიკურად დასუსტებული და ნებისყოფამოდუნებული ხალხის მიმართ ხომ უდიდესი გამხრწნელი ძალა აქვს მათ მიერ კულტივირებული ეროვნული ნიჰილიზმისა და ერის წინაშე პიროვნების ვალის იგნორირების სტალინისტებისეულ პრაქტიკას...

ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე, როგორც ჩანს, გარდუვალია გადამწყვეტი, ძლევამოსილი, ჭეშმარიტად ჯვაროსნული იდეოლოგიური ომის გადახდა წითელი ჭირის ამ ბაცილამატარებლებთან. ამისათვის აუცილებელია ყველა ჭეშმარიტად ეროვნული ძალის გაერთიანება, მამულიშვილთა ერთ მუშტად შეკვრა არსებული საფრთხის წინაშე.

ბოლოსდაბოლოს სატანიზმთან ამ ჯვაროსნულ ომში მაინც უნდა გააქტიურდეს და ეროვნული ძალების მხარეზე დადგეს ქართული ეკლესია!

გვფარავდეს ღმერთი ამ სამართლიან, ეროვნული ღირსების გადასარჩენად გადასახდელ ბრძოლაში!

წინამდებარე სტატია დაიწერა ხუთი წლის წინ და გამოქვეყნდა გაზ. „ქართულ ფილმში“ (1990 წ. 6 ივნისი). სტატია საკმაოდ დიდი მოცულობისა იყო და შემოკლებით დაიბეჭდა. მიზეზი იმისა, თუ რატომ გადავწყვიტე მისი ხელმეორედ გამოქვეყნება კიდევ უფრო შემოკლებული ვარიანტით — მარტივია: იმ პრობლემებს, რაზედაც სტატიაშია ლაპარაკი, არა თუ არ დაუკარგავს აქტუალობა, არამედ კიდევ უფრო მწვავედ დგას... სტალინის სახელს პოპულარობა საქართველოში არც მანამდე აკლდა. ახლა კი „სტალინის სიდიადე“ ლამის ოფიციალურ პროპაგანდად გვევლინება... ასეა თუ ისე, „სტალინის ფენომენი“ კვლავ დგას დღის წესრიგში და ეს თემა აუცილებლად მოითხოვს სერიოზულ მსჯელობას.

საქართველოს უკანასკნელი მეფე

ანუ რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ტოტალიტარიზმის ფესვების შესახებ

დავით ზურაბიშვილი

უცნაური ფენომენი

ერთი ჩემი მეგობრის ნაამბობით ბინდა დავიწყო: ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში სტალინის შვილიშვილი ჩამოსულა, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა ბაბუას. მისი ქუჩაში გამოჩენა ხშირად იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას, ხოლო ერთ ხანდაზმულ მამაკაცს კი თურმე ცრემლიც მოერია და ხმამაღლა აღმოხდა:

— მადლობა ღმერთს, საქართველოს ჯერ კიდევ ჰყავს მეფე!

არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ამბავი. შეიძლება ჭორია, შეიძლება მსგავსი რამ კიდეც მოხდა; ეს არ არის მთავარი, თუმცა მკითხველს ვთხოვ მაინც დაიმახსოვროს უცნობი გამვლელის სიტყვები...

ზემოთ მოყვანილი შემთხვევა ე.წ. „სტალინის ფენომენის“ ნიმუშია. დღეისათვის სტალინზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ქართველ მკითხველს მოყირჭდა მისი სახელის წამდაუწუმ ხსენება. მაგრამ ამჯერად „სტალინის ფენომენი“ გვაინტერესებს, როგორც ქართველი ერის სულიერი მდგომარეობის გამოხატულება, როგორც ტოტალიტარული აზროვნების, ტოტალიტარული ფსიქიკის გამოვლინება.

„სტალინის ფენომენი“ — საკმაოდ უცნაური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. რად ღირს თუნდაც ის, რომ ამ ფენომენში გულისხმობენ იოსებ სტალინის პიროვნების ავ-კარგს, მაშინ, როცა, მთელს ცივილიზებულ სამყაროში სტალინის პიროვნებაზე ცალსახად უარყოფითი აზრია გამეფებული და თუკი წინასწარ არ მოვიმართებით მოწიწების ტალღაზე, სტალინის პიროვნება საქართველოში არანაირ კამათს არ უნდა იწვევდეს.

მურვან-ყრუს, თემურ-ლენგს, შაჰ-აბასსა და აღა-მაჰმად-ხანს ერთად არ მოუტანია იმდენი უბედურება საქართველოსთვის, რამდენიც ამ კაცმა მოუტანა.

არცერთ კაცთმოძულე დიქტატორს არ დაუღვრია მშვიდობიანობის დროს თანამოქალაქეთა იმდენი სისხლი, რამდენიც ამ კაცმა დაღვარა.

კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს ისეთი ამბაზრზენი სახელმწიფო, როგორიც სტალინისდროინდელი საბჭოთა კავშირი.

ყოველივე ამის შემდეგ სტალინის პიროვნების შეფასება თითქოსდა უმარტივესი საქმეა, მაგრამ „სტალინის ფენომენიც“ აქ მჟღავნდება: სტალინისადმი უცნაური მოკრძალება იგრძნობა თვით იმ ადამიანებშიც, რომლებმაც ყველაფერი მშვენივრად იციან

ლიტონი ლაპარაკი რომ არ გამომივიდეს, მოვიტან ნაწყვეტებს აკაკი ბაქრაძისა და გურამ პეტრიაშვილის დიალოგიდან (გაზ. „ქართული ფილმი“. 22.06.1988 წ.). ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს სტალინისადმი სიმპათიას ვერავინ დააბრალებს, მაგრამ უმჯობესია თვით მას მოვუსმინოთ:

„ვისაც სტალინის ხელით შევსებული ანკეტები უნახავს, ის დამეთანხმება, რომ იგი ანკეტაში ასე წერდა: მშობლიური ენა — რუსული, ეროვნება —რუსი, მხოლოდ ფრჩხილებში იყო მითითებული — წარმომავლობით ქართველი. როგორც ხედავთ, რაკი რუსული სახელმწიფოს მეთაური იყო, იძულებული ხდებოდა უარეყო თავისი ეროვნება. ისეთი ძლიერი პიროვნებისთვის, როგორიც სტალინი იყო, ასეთი უარყოფა შეუძლებელია არ ყოფილიყო მძიმე განცდის საფუძველი. ეს იძულებაა, ეს აუცილებლობის მორჩილებაა, არსებითად თავის დათრგუნვაა იმ მდგომარეობით, რომელიც მას შეექმნა. იძულება, მორჩილება, დათრგუნვა, — მონობაა. სტალინი მისი მდგომარეობის გამო მონა აღმოჩნდა. ამას შეუძლებელია არ გამოეწვია გაბოროტება. ეს გაბოროტება მის ცხოვრებასა და საქციელში ძლიან მძლავრად იგრძნობა“.

როგორც ვხედავთ, ბ-ნი აკაკის თვალსაზრისით, „სტალინის ფენომენი“ — სამშობლოდაკარგული კაცის ტრაგედიაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სტალინს კი არ „შეექმნა“ საბედისწერო მდგომარეობა, არამედ რუსული სახელმწიფოს მეთაურობა მისი **ნებაყოფლობითი არჩევანი**, მისი სანუკვარი მიზანი იყო; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტალინი ამ მიზნისთვის **არანაირ ბოროტებას არ მორიდებია**; და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ლაპარაკია **საქართველოს უდიდეს დამაჭცევარზე**, მაშინ ზემოთ მოყვანილი პასაჟი უფრო სტალინის დაცვაა, ვიდრე მიუკერძოებელი ანალიზი.

ისტორიული რაკურსი

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ქართველი კაცის ტრადიციული დამოკიდებულება სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ.

უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოში მხოლოდ ერთი სახის ხელისუფლება — სამეფო ხელისუფლება არსებობდა. **ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, ფაქტიურად, საქართველოს სამეფო ისტორია**; რაც, ძირითადად, ფეოდალურ ურთიერთობებს გულისხმობს. სამეფო ხელისუფლების მთავარი პრინციპი კი თვითმპყრობელობაა, რომლის კლასიკური ფორმულაც ლუდოვიკო XI-ს ეკუთვნის: „სახელმწიფო— ეს მე ვარ!“

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეს სიტყვები მუდამ უარყოფით კონტექსტში იხსენიება და თვითმპყრობელობის მჩაგვრელი ბუნების ნიმუშად მოაქვთ. სინამდვილეში კი ეს ფრაზა თვითმპყრობელური მონარქიის განმსაზღვრელ პრინციპიზე მიუთითებს, იგი ობიექტურ სინამდვილეს ასახავს. მეფე ერთადერთი პირია, რომელიც პოლიტიკურად არავის ექვემდებარება. სწორედ მის პირად გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, მეფის სამსახური— სახელმწიფოს სამსახურია. კონსტანტინე გამსახურდია, თავის დროზე, სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველოს



რმა, წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელია. მისი იდეოლოგიური საფუძველი — რელიგიური ცნობიერებაა. კერძოდ, მართლმადიდებლური ქრისტიანობა მეფეს განიხილავს, როგორც ღვთისგან ცხებულს; რასაკვირველია, იგულისხმება მეფობა და არა კონკრეტულად რომელიმე მეფე, მაგრამ ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რელიგიისა და სახელმწიფოებრიობის ურთიერთმიმართება თავისთავად საინტერესო თემაა და ამ თემაზე დაწვრილებით მსჯელობა შორს წაგვიყვანდა.

ფეოდალურ ურთიერთობათა კიდევ ერთი ტიპიური ნიშანი ისაა, რომ არ არსებობს პიროვნების თავისუფლება ამ ცნების თანამედროვე, სამართლებრივი გაგებით. სოციალური სტრუქტურა იერარქიულია — პიროვნების უფლება-მოვალეობანი პრაქტიკულად მისი სოციალური მდგომარეობით განისაზღვრება: აზნაურის, გლეხის თუ სასულიერო პირის სტატუსი მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ადამიანის პიროვნული თავისუფლება შემოფარგლულია მისი სოციალური წრით. **ფეოდალიზმის დროს ადამიანის მოვალეობანი აშკარად დომინირებს ადამიანის უფლებებზე.** ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი ნებისმიერი ფეოდალური სახელმწიფოს სამართალს გავეცნობით.

რასაკვირველია, ურთიერთობათა ასეთ ფორმებს შეესაბამება სრულიად გარკვეული ტიპის ადამიანი, შესაბამისი ხასიათითა და ფსიქოლოგიით. ზნეობის უმთავრესი ნიშანი— **კეთილმსახურება**; ვასალს არა აქვს უფლება განსაჯოს სუზერენი. თავის მხრივ სუზერენიც ვალდებულია იზრუნოს ვასალის კეთილდღეობაზე. უპატრონოს მას. ფეოდალიზმის ეპოქის ადამიანისთვის შეარძნება იმისა, რომ **პატრონი** ჰყავს, არა მარტო ბუნებრივი განცდაა, არამედ მისი ზნეობრიობის უმძლავრესი ბურჯია. მაგრამ ადამიანი ცოდვილია — სუზერენისადმი ერთგულება თავისუფლად შეიძლება გადაიზარდოს მონობაში. ვასალზე გამგებლობა კი ტირანიაში. ვერავითარი იერარქიული პრინციპი, ვერავითარი „ღირსების კოდექსი“ ზნეობრიობის გარანტიას ვერ იძლევა. ნ. ბერდიაევის მიბაძვით რომ ვთქვათ: ფეოდალური ურთიერთობები თავის დადებით პოლუსზე პატრონყმურია. უარყოფით პოლუსზე კი — ტირანული და მონური. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ერთადერთი უმაღლესი სუზერენი, უზენაესი პატრონი — მეფე, რომლის ავტორიტეტიც რელიგიურობით, ანუ ყოველგვარი ზნეობრიობის საწყისითაა გამაგრებული, ცხადი გახდება, რომ ფეოდალურ ზნეობაში ყმის ფსიქოლოგია ჭარბობს პატრონისას. ფეოდალური „ღირსების კოდექსი“ კატეგორიულად კრძალავს მეფის კრიტიკას: მეფე შეიძლება იყოს ავი, სასტიკი, უგუნური თუ უნიათო, მაგრამ მეფეზე საჯაროდ აუგის თქმა, ცამდე მართალიც რომ იყო, მაინც უზნეობაა, „კრამოლაა“. და როცა ადამიანი ჩათვლის, რომ მასაც ისეთივე უფლებები აქვს ამქვეყნად, როგორც ყველა სხვას, მაშინ ფეოდალურ ურთიერთობათა მთელი სისტემა ხუხულასავით ინგრევა; ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის მეორით შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი ფსიქიკის სახეცვლილებითაა გაპირობებული და სწორედ პიროვნული თავისუფლებისკენ სწრაფვაა ფეოდალურიდან კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასვლის მამოძრავებელი ძალა...

ფეოდალიზმის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში იწყება უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალწახნაგოვანი პროცესი, სადაც კაპიტალიზმი, ამ ცნების ტრადიციული გაგებით, მხოლოდ პირველი სტადიაა. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ამ პროცესის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს, მაგრამ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: **ფეოდალიზმის შემდგომ ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის საერთო საფუძველი— პიროვნული საწყისის პრიმატია.** ეს კი ზნეობრიობის ინდივიდუალიზაციას გულისხმობს. სოციალურ ურთიერთობათა სისტემა ყალიბდება არა ზემოდან დადგენილი წესით, არამედ პიროვნებათა ურთიერთშეთანხმების, თავისუფალი არჩევანის პრინციპის საფუძველზე. სოციალური იერარქია ინგრევა. აქცენტი კეთილმსახურებიდან თავისუფლებაზე ინაცვლებს. ადამიანის უფლებებს ადამიანის მოვალეობებზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი მსოფლმხედველობა კი ძირეულად განსხვავდება მანამდე არსებული ყველა მსოფლმხედველობისაგან. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქა — ნგრევის ეპოქაა: ინგრევა სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა. ინგრევა ღირებულებათა კრიტერიუმები, ინგრევა ზნეობის ფუნდამენტი — რელიგიურობა. ერთი სიტყვით, ინგრევა ადამიანის სამყაროსთან დამოკიდებულების მთელი სისტემა. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქა — რევოლუციური ეპოქაა. ყოველგვარი რევოლუცია ძალადობაა. და, აქედან გამომდინარე, ბოროტება მაგრამ, გარდა ამისა, რევოლუცია ცხოვრების დრომოჭმული მექანიზმის როვევაა. როგორც ისტორია ცხადყოფს, რევოლუციური სიტუაცია მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა ხელისუფლება ჯიუტად ცდილობს მოძველებული, პრაქტიკულად უმოქმედო სტრუქტურების შენარჩუნებას.

ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში. აქ ძლიერ დამუხრუჭდა პიროვნული ცნობიერების განვითარების პროცესი, რაშიაც დიდი როლი ითამაშა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ აღმსარებლობათა სხვაობამ. კათოლიციზმისგან განსხვავებით, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავის დროზე უკეთ შეინარჩუნა ქრისტიანობის მისტიური არსი; მაგრამ ეკლესია არის არა მარტო სხეული და ტაძარი ღვთისა, არამედ უმნიშვნელოვანესი სოციალ-პოლიტიკური ერთეული, რომელიც უმძლავრეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცნობიერების ფორმირებაზე. განყოფის შემდეგ მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთ საზოგადოებრივი პროცესების მიმართ კონსერვატორული პოზიცია ეკავა— მოცემული სოციალ-პოლიტიკური სისტემა აღიქმებოდა, როგორც დედამიწაზე ღვთაებრივი მართლწესრიგის ერთადერთი ფორმა. ამ დოგმატური, თავისი შინაარსით, სტაგნაციური სულისკვეთების ფორმულად სავსებით გამოდგება ა. ოსტროვსკის ერთი პერსონაჟის სიტყვები: „Всякая реформа вредна и способствует вольнодумству“. იმ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებლური აღმსარებლობა იყო გაბატონებული, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა: ყოველივე ამან კი საკმაოდ მძიმე შედეგები გამოიღო— ბიზანტიის იმპერია განადგურდა. რუსეთში ეკლესია მთლიანად სახელმწიფო აპარატს დაექვემდებარა და დამპყრობლური პოლიტიკის იდეოლოგიურ იარაღად იქცა. საქართველოს ეკლესია კი ისე დაკნინდა, რომ როცა სულ გააუქმეს და საეგზარხოსოდ გამოაცხადეს, ხმაც კი ვერ ამოიღო კანონიერი უფლებების დასაცავად!

გარდა ამისა, ცალკეულ ქართულ სამთავროთა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბება მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, რასაც შეუძლებელია არ დაეჩნია კვალი ქართველი კაცის ფსიქიკისთვის (ამ ფაქტს ჯერ კიდევ გრ. რობაქიძემ მიაქცია ყურადღება). კაპიტალიზმის განვითარება, ეს ისტორიულად გარდუვალი, თავისთავად მძიმე პროცესი ვითარდებოდა გარედან თავსმოხვეული რუსული მოდელის მიხედვით. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული პროვინცია— საქართველო, მსოფლიო კულტურული ორბიტიდან კვლავ მოწყვეტილი დარჩა. რუსული გავლენით, რუსული სულით განიმსჭვალა ქართული კულტურული ცხოვრების ყველა სფერო. ლევან გოთუას „გმირთა ვარამში“ უაღრესად ზუსტი და მართებული აზრია გამოთქმული: როცა ერთი ერი იპყრობს მეორეს, მაშინ დამპყრობელი ერის საუკეთესო თვისებებიც უკუღმართად შემოდის დაპყრობილ ერში. და მართლაც, რუსეთი თავისი ენით, კულტურით, ყოფითი ტრადიციებით საქართველოსთვის იმდენად ევროპულ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი ხიდი კი არ იყო, რამდენადაც ერთგვარი საბაჟო-საკონტროლო პუნქტი ამ ხიდზე.

ყოველივე ამას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია არ დაეჩნია კვალი ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის. საქართველოში ზნეობა, თავისი შინაარსით, მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობების კონტექსტში აღიქმებოდა. ამიტომ კაპიტალისტური, ანუ **ინდივიდუალისტური** იდეოლოგია, ისიც **კოლექტივისტური** რუსეთის უცხო სამოსელში ვერ მიიღო ქართველმა კაცმა. ვერ გაითავისა. ახალ ვითარებას იგი მხოლოდ გარეგნულად შეეგუა. ამან კი მისი სულიერი გაორება გამოიწვია. შინაგანი გაორებიდან უზნეობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია და ზნეობრივი— განსაკუთრებით ეროვნული თვითშეგნების — დაცემა საქართველოში XIX საუკუნის შუახანისთვის უკვე კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება: ეკლესიაში რუსული ენა და რუსული იმპერიალისტური მსოფლმხედველობაა გაბატონებული; ქართული თავად-აზნაურობა კი მამულებს ჰყიდის და იმპერატორის სამსახურში პოულობს მოქალაქეობრიობის საზრისს, მაგრამ მეფის კულტი მეფისადმი კეთილმსახურება, როგორც სიქველის ეტალონი — კვლავ ძალაშია. როცა გრიგოლ ორბელიანი დავით აღმაშენებლისა და თამარის გვერდით ნიკოლოზ I-საც ხოტბას ასხამდა — ეს მაშინ მკრეხელობად არავის აღუქვია. თვითმპყრობელობის, მეფობის პრინციპისადმი ერთგულება, ქართულ ცნობიერებაში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ეროვნული თვითშეგნება იმ გაგებით, როგორც ეს ახლა გვესმის, ამიტომაც საქართველოში იოლად მოიკიდა ფეხი სოციალისტურმა იდეოლოგიამ, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვითაა მიმართული ავტორიტარიზმის წინააღმდეგ. მასებისთვის, სოციალ-დემოკრატთა იდეალები უმარტივეს ლოზუნგამდე — „ძირს ნიკოლოზ, მაღლა მუშა“ **ანუ ადგილმონაცვლეობის აჭამდე დაიყვანებოდა: „მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ“ — ეს არის და ეს. ავტორიტარიზმის ერთი ფორმა შეორეთი იცვლება, არისტოკრატიის ნაცვლად ოხლოკრატია.**

დღეს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ნამდვილად აღარ დაგვჭირდებოდა, 1918-21 წლებში ეროვნული

დასასრული მე-8 გვ.

საქართველოს უკანასკნელი მეფე

ანუ რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ტოტალიტარიზმის ფესვების შესახებ

დავით ზურაბიშვილი

მეშვიდე გვერდიდან

სახელმწიფო მკვიდრ საძირკველზე რომ ყოფილიყო დაშენებული. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება არ იძლეოდა ამის საშუალებას. ავტორიტარულ ხელისუფლებას ჩვეული ქართველი ხალხი სრულიად გულგრილი დარჩა მენშევიკური მთავრობის მიმართ, რომელიც გაუთავებლად მერყეობდა ევროპულ ორიენტაციასა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგულებას შორის. ამიტომაც იყო,რომ დაძონძილ-დამშეულ მეთერთმეტე არმიას ვერც მთავრობამ გაუწია ხერხიანი წინააღმდეგობა და ვერც ხალხმა.

საქართველოს უკანასკნელი მეფე

საქართველოს გასაბჭოებამ ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების არნახული კრიზისი გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალისტური და მარქსისტული მსოფლმხედველობა ერთნაირ ფსიქოლოგიურ განწყობას ეფუძნება, მათ შორის მაინც არსებითი განსხვავებაა.

თუკი ფეოდალიზმი საზოგადოების განვითარების ისტორიული საფეხურია, მარქსიზმი, თავისი იდეური მიმართულებით მთლიანად ანტიისტორიულია. ფეოდალიზმი, მისი თანამედროვე საზოგადოების ჯანსაღი ცნობიერების ნაყოფია, მარქსიზმი — კრიზისული ცნობიერების ნაყოფი. კერძოდ, ევროპაში, ფეოდალიზმი— ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისი სტრუქტურაა; ხოლო მარქსიზმი, რომელიც თითქოს ყოველგვარი რელიგიის მტერია (რელიგია ოპიუმია ხალხისთვის!), სინამდვილეში თვითონაც ერთგვარი რელიგიაა თავისი წმინდა წიგნით „კაპიტალი“), მოციქულებით (მარქსი, ენგელსი, ლენინი), ეკლესიით (პარტია) და აპოკალიფსით (კომუნიზმი). ერთი სიტყვით, მარქსიზმი — თავდაყირა დაყენებული ფეოდალიზმია, ხოლო მარქსისტული ზნეობა — თავდაყირა დაყენებული ფეოდალისტური ზნეობა. სწორედ ქართველი კაცის ფეოდალისტური ფსიქიკა აღმოჩნდა ის ნოყიერი ნიადაგი, რომელშიაც გაღივდა კომუნისტური დიქტატურის ბოროტი თესლი!

გაღივდა და იხარა კიდეც! ბოლშევიკური რეჟიმი ქართველის გულში სამეფო ხელისუფლების ნოსტალგიას ეხმიანებოდა. გორელი ავაზაკი სოსო ჯუღაშვილი კი „მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა ქომაგად“ — იოსებ სტალინად მოევლინა თანამემამულეებს. სტალინის სახით ქართველმა კაცმა პატრონი შეიძინა. როცა გვესმის: სტალინის დროს საქართველოში მეტი პატიოსნება იყოო, უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეულწილად ასეცაა. ჯერ კიდევ 60-იან წლებში სიტყვა „კომუნისტი“, გადატანითი მნიშვნელობით, რეალობას მოწყვეტილ, გულუბრყვილო მეოცნებეს ნიშნავდა. აღარაფერს ვამბობ უფრო ადრეულ, კომუნისტური იდეოლოგიის ჭეშმარიტი ზეობის პერიოდზე, როცა სოციალისტური მშენებლობით „აღფრთოვანებას მასებისას“ მართლაც საზღვარი არ ჰქონდა.

ქართველმა კაცმა სწორედ რომ იწამა კომუნიზმი, რწმენა კი, როგორც ვიცით, რელიგიური კატეგორიაა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ ქართული საზოგადოების ფეოდალისტურ ცნობიერებაში სახელმწიფო რელიგიის ადგილი დაიკავა, რითაც რწმენის კრიზისის დაძლევის, ზნეობრივი სიმრთელის ილუზია შექმნა. სტალინისტური ეპოქის პატიოსნებაც აქედან მოდის; რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ყლერდეს, რიგითი ქართველი, როგორც მოქალაქე, თვით 1937 წელს გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე სამწლიანი დამოუკიდებლობის დროს, არნახული ტერორისა და გაუგონარი დიქტატის პირობებში ქართველი ერი შთაგონებით განაგრძობდა კომუნიზმის შენებას.

> რევოლუციურს, ჯერ არნახულს,
> ჯერ არ გაგონილს,
> ვაშა ამ ახალ საქართველოს,
> ვაშა შენებას!

ასეთი მასიური ჰიპნოზი დიდხანს ვერ გასტანდა და კომუნისტური ბაალიც მალე დაემხო. 1956 წლის მარტის ამბების შემდეგ ქართველმა კაცმა საბოლოოდ უარყო კომუნიზმი, როგორც ქიმერა, მაგრამ ამის მერე საერთოდ უიდეალოდ დარჩა. ყალბ იდეალებზე დაფუძნებული ზნეობა ყოველთვის უზნეობით მთავრდება და მთელს საქართველოში მატერიალისტური თვითდამკვიდრების კულტი გამეფდა. ქართველი ერი ქურდობის, მექრთამეობის, უპრინციპო კარიერიზმის ჭაობში ჩაეფლო; ამქვეყნიური სიამით ტკბობა უმაღლეს მიზნად გადაიქცა, „კაი ფულის მშოვნელი“ და „კაი კაცი“ სინონიმები გახდა. ასეთ პირობებში ზნეობრიობა მხოლოდ არაცნობიერის სფეროში შემორჩა. რწმენადაკარგული ქართველი ტრადიციული, ანუ ფეოდალისტური ზნეობის ინერციითღა განაგრძობდა ცხოვრებას, სანამ 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულმა მოძრაობამ ვულკანივით არ ამოზეთქა და ქართულმა საზოგადოებრივმა ცნობიერებამ, დამოუკიდებლობის იდეის სახით, ახალი საზრისი არ შეიძინა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართველი, კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ამ სულისკვეთების ნაყოფია ერთგვარი მესიანური განწყობა ქართველ ხალხში, როცა ყველა უკმაყოფილოა პოლიტიკურ ორგანიზაციათა სიმრავლით და როცა კონსოლიდაციისკენ მოწოდებაში ფაქტიურად რომელიმე ერთი პიროვნების გვერდით დგომა იგულისხმება, პიროვნებისა, რომელიც ყველაფერს მოაგვარებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

ეს „დიდი კაცის“ მოლოდინი, ყველას ერთ მუშტად რომ შეკრავს და აღთქმული ქვეყნისკენ გაუძღვება; „ეს პატრონის“ წყურვილი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ვაწყდებით სხვა არაფერია, თუ არა ელემენტარული უპასუხისმგებლობა, რომელიც პირდაპირი შედეგია ჩვენი ფეოდალისტური, დღევანდელ პირობებში კი ფაქტიურად მონური ცნობიერებისა. აბა, რა „პატრონი“ ჭირდება მოწიფულ მამაკაცს? მაგრამ გაცილებით ადვილია განზე გადგომა.რამდენჯერ გაგვიგონია: უპატრონოა ეს ქვეყანა და მე რას ვუშველიო! როცა ამგვარი განწყობა მძლავრობს ერში, შეუძლებელია პოლიტიკური პროცესი ნორმალურად წარიმართოს; და არა მარტო პოლიტიკური პროცესი! ფეოდალისტური ფსიქიკის ადამიანი, თუ იგი კონკრეტულად რომელიმე „სუზერენის“ წინაშე.არაა პასუხისმგებელი, თავს მიუსაფრად გრძნობს, მას ვერ დაუჯერებია, რომ თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს თავისი ბედი; იგი ვერავითარ კმაყოფილებას ვერ პოულობს თავისუფალი არჩევანის უფლებაში, პირიქით, თავისუფალი არჩევანი მისთვის შემაწუხებელი ტვირთია,რომელიც სულიერ სიმუდრეზე ურღვევს!

უმეფობა— უწესრიგობაა. ტმეფობა — ქაოსია. **უმეფობა — ბოროტებაა!**

და დღეს, ქართველთა შორის კვლავაც ძლიერია ლტოლვა — იპოვოს ადამიანი, რომელსაც უზენაეს ხელისუფლად აღიარებს, ვისაც ბრმად ენდობა, ვისი სამსახურიც თავისთავად ჩაითვლება სიქველედ. საქართველო კვლავაც მოელის თავის მეფეს!

სწორედ ამაშია „სტალინის ფენომენის“ საიდუმლო. ქართველი კაცის ცნობიერებაში სტალინი აღიქმებოდა და გარკვეულწილად დღესაც აღიქმება, როგორც მეფე (გაიხსენეთ ამ წერილის დასაწყისში მოთხრობილი ამბავი!). მეფე კი შეიძლება იყოს ბოროტი, შეიძლება უდანაშაულოთა სისხლიც დაიღვაროს, შეიძლება არც გიყვარდეს, მაგრამ ჩვენ, უბრალო ხალხს, არა გვაქვს მისი განსჯის უფლება. მეფის კრიტიკა დაუშვებელია, მეფის ლანძღვა მკრეხელობაა, სტალინი კი— საქართველოს უკანასკნელი მეფეა!

დღეს, როცა კომკავშირელი აქტივისტიც იმას გაიძახის: საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვიო, ეჭვი აღარ უნდა შეგვეპაროს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა — უახლოეს ხანში მოხდება. მაგრამ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფლებას. სანამ ჩვენ, ქართველები, არ დავამსხვრევთ დრომოჭმული ფსიქიკის ბორკილებს, სანამ ჩვენი სული არ განიწმინდება ბალასტისგან, სანამ არ ამოვძირკვავთ „პატრონზე“ ნატვრას და არ მივხვდებით, რომ ჩვენი ხსნა ჩვენს ხელთაა და ყველას პატრონი მხოლოდ მაღალი ღმერთია, მანამდე არასოდეს გვეღირსება თავისუფლება და საქართველოს უკანასკნელი მეფე — სტალინი, თვითეული ჩვენგანის გულში იცოცხლებს, როგორც ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯოხეთური ხატი!...

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე. მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი. სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია IBM–ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა.



კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის ჩიხი N 37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს აჭარის პარლამენტის წევრს, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრს ოთარ ზოიძეს მამის **ნოდარ ზოიძის** გარდაცვალების გამო.

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. მე-19 — მე-20 ს. რუსი მწერალი. 6. საწერი საშუალება. 7. პოლიგრაფიული საწარმო. 9. დიდი ბერძენი დრამატურგი. 13. თანამედროვე ინგლისელი მწერალი, ფანტასტი. 14. დიდი გერმანელი მწერალი მოაზროვნე. 15. ზოროასტრიზმის წმინდა წიგნების კრებული. 16. ჩეხოვის დრამა. 18. მე-19 ს. ცნობილი ფრანგი ფერმწერი. 20. ლიტერატურული ჟანრი. 23. სატირული ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოები, მორალით. 25. მუსიკალური გამის პირველი ძირითადი ბგერა. 28. მუსლიმანური დოგმების კრებული, წმინდა წიგნი. 30. მე-16 ს. ფრანგი სატირიკოსი მწერალი. 31. არგონავტების მეთაური. 32. ლიტერატურული ხერხი, რაიმე ამბის გადაკრულად, ნართაულად თქმა. 33. მიმდინარეობა ხელოვნებაში. 34. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა. 35. მე-19 ს. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი.

ვერტიკალურად: 1. ქაღალდის ნაჭერი. 2. პუშკინის ლექსი. 3. ფ. დიუშანის რომანი. 4. ხელოვანი. 7. ნახატი, რაიმე გამოსახულება ქაღალდზე, ტილოზე. 8. მე-20 ს. რუმინელი მწერალი და ჟურნალისტი. 10. ნაგებობა ანტიკურ თეატრში, სადაც მსახიობები იკაზმებოდნენ, იცვლიდნენ ტანსაცმელს. 11. სვედიანი ლირიკული ლექსი. 12. რაიმე ტექსტის დამუშავება, შესწორება. 17. თანამედროვე ქართველი მწერალი. 19. მწვავე ინფექციური დაავადება. 21. რაიმე ტექსტიდან სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი. 22. მე-14 ს. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი. 24. ავსტრალიის უკიდურესი ჩრდ. წერტილი, კონცხი. 25. მე-18 ს. ფრანგი მწერალი. 26. მე-16 — მე-17 ს. დიდი ფლამანდიელი მხატვარი. 27. გმირი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, გეასა და პოსეიდონის შვილი. 29. სინამდვილის მცდარი აღთქმა. 31. ქალთა მშობიარობის ღვთაება ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 3. რევიუ. 5. ლოიდი. 8. კაენი. 9. შაირი. 10. ამადუ. 11. ჰურია. 13. ჰიმნი. 14. ვერანჟე. 15. რითმა. 16. რადიო. 17. მასნე. 21. დრამა. 23. ლომოური. 24. საადი. 26. აბელი. 28. არაკი. 29. ჭინკა. 30. ფლორა. 31. ბლოკი. 32. ეროდი.

ვერტიკალურად: 1. ბერნსი. 2. ედგარი. 4. უტამარო. 5. ლონდონი. 6. ბახუსი. 7. ფრანსი. 12. აბაშელი. 13. ჰერედია. 18. ყადაჯიო. 19. ამირანი. 20. პუშკინი. 22. მალერი. 25. დეკელი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 300. 000 კუპონი ან 1200 რუბლი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99
93-18-41